ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე ოთხშაბათს. №15 (1803) 24 სექტემბერი 2003

ამერიკელების პოზიცია ჩეჩნეთის საკითხზე უფრო მკვეთრი ხდება

მე-3 გვ.

პატარა და ძალიან ცივი ომი

მე-3 გვ.

(კუბა და ევროკავშირი)

საქართველოს ეკონომიკური რევსტავრაცია

მე-7 გვ.

„ჩურჩული“ და შიდა-პოლიტიკური ზრდილობა

მე-5 გვ.

(აშშ-ს პოლიტიკის შინასამზარეულოს გამო)

რა ემუქრება განათლებას საქართველოში

მე-2 გვ.

რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობა

მე-5 გვ.

ყურებჩამოყრილი ლიტერატურა

www.opentext.org.ge/sakart

2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობს 43 სხვადასხვა პარტია. თითქმის არც ერთ მათგანს აზრად არ მოჰსვლია ამომრჩევლისთვის თავისი პროგრამის წარდგენა, ხოლო ვინც წარადგინა („მემარჯვენეებმა"), მაშინათვე გამანადგურებელი ირონიული კრიტიკა მოიმკო.

მასალა, რომელსაც მკითხველს ვუდგენთ (და მომავალ ნომრებშიც წარვუდგენთ) დამთავრებული ანუ საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ „პეჭედდასმული" პროგრამა არ არის. ეს გახლავთ იმის ილუსტრაცია (ძირითად ხაზებში), თუ რას ეწოდება პარტიული პროგრამა და როგორი უნდა იყოს იგი.

დღეს ტელეეკრანზე ყბოფ სამთავროგო და „ოპოზიციურ" პარტიებს რომ პროგრამები ანუ კვალიფიციურად მოაზრებული და პატიოსნად წარდგენილი სამოქმედო გეგმა ჰქონოდათ, არ გვიძნელდებოდა ის სამარცხვინო მდგომარეობა, რომ ამომრჩეველთა... მხოლოდ 9% ინტერესდება პარტიის პროგრამით.

რა ემუქრება განათლებას საქართველოში

საქართველოს დარჩენაში „ვერშემდგარ სახელმწიფოდ" დაინტერესებულია არა მხოლოდ რუსეთი, არამედ არაერთი სხვა დღეს მსოფლიოში მოქმედი ძალა, რომელთაც შევარდნაძე, თავისი მდგომარეობის შენარჩუნების ან სხვა რამ მიზნით, ემორჩილება ან ანგარიშს უწევს. ამ მიზნის მოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომელსაც მისი დამსახველი ვერ გაექცევა, არის საქართველოში განათლების სისტემის პარალიზაცია, საბოლოდ — ჩაკვლა და ქართველი ხალხის ცნობიერების გადაორიენტირება იმგვარად, რომ მისი დღეს არსებული ძლიერი მიდრეკილება სწავლა-განათლებისაკენ შესუსტდეს და, საბოლოოდ, ნულზე დავიდეს. მიზანმიმართულ ნგრევასთან ერთად განათლების სისტემას საქართველოში დღეს არღვევს ბუნებრივი პროცესიც: სახელმწიფო ყურადღებას და, პირველ რიგში, დაფინანსების მოკლებას ვერ უძლებს ეს სპეციფიკური სისტემა, რომელიც თავისი ბუნებითვე ზოგადეროვნულ ძალისხმევას მოითხოვს არსებობის გასაგრძელებლად და განსავითარებლად.

დღეს საქართველოში განათლების სტაგნაციისა და დეგრადაციისკენ მიმართული ბუნებრივი და ხელოვნური ფაქტორები ძირითადად შემდეგია:

I. კომუნისტური ეპოქის მემკვიდრეობა

თუმცა საქართველოში პირველი უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წელს, საერთო-ეროვნულმა ძლიერმა მისწრაფებამ მისი, აგრეთვე მისი გამონაყოფი დარგობრივი სასწავლო ინსტიტუტების, განვითარებისა და გაძლიერებისაკენ დასავლეთში განათლებამიღებულ პროფესორთა ბრწყინვალე პლეადის თავდადებულმა შრომამ და მანამდე არსებული ქართველი ინტელიგენციის ზოგადმა მაღალმა ინტელექტუალურმა დონემ, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური პირობებისა და რეპრესიებისა პროფესორთა შორის, განაპირობა ამ უნივერსიტეტის მაღალი მეცნიერული დონე და სწავლების მაღალი ხარისხი. თბილისის უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი იყო, რომელიც ზოგ დარგში — პირველ ყოვლისა, ზოგ ჰუმანიტარულ დარგში — წინ იყო რუსეთის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიურ დაწესებულებებთან შედარებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და მის სისტემაში თანდათან ახალ-ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნით საქართველოში მრავალკეცად გაიზარდა საზოგადოების მეცნიერული და მეცნიერულ-პედაგოგიური დასაქმების პროცენტი და კვლევითი მუშაობის ფრონტი. უალრესად ფართო გახდა — შეიძლება ითქვას, მასობრივი სახე მიიღო მოსახლეობაში აღმავალმა სოციალურმა მობილობამ სქემით: „მშობლები — უსწავლელი, შვილები — უმაღლესდამთავრებულები". პარალელურად მოქმედებდა რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც საქმე მეცნიერებისა და განათლების ხარისხობრივი დადაბლებისკენ და თვით სსრკს დახურულ სივრცეში ქართული მეცნიერებისა და განათლების ჩამორჩენისკენ მიჰყავდა. სახელდობრ,

ა) შეიქმნა განათლების საყოველთაო სახელმწიფო სისტემა, რომელმაც მოიცვა საშუალო განათლება (ზოგადი და პროფესიული) და უმაღლესი განათლების ფართო სეგმენტი (დადებითი ფაქტორი)

ბ) განათლების ხარისხი (განსაკუთრებით, უმაღლესისა) თანდათან დაქვეითდა იმის შედეგად, რომ მასში გაბატონდა პოლიტიკური ნიშნით დაწინაურებული „წითელი პროფესურა", განვითარდა იდეოლოგიური პრესი, რეპრესიებით დაითრგუნა აკადემიური ინტელიგენცია (უარყოფითი ფაქტორი)

გ) განათლების სისტემის ფუნქციონირება და განვითარება იზოლაციაში მოექცა მსოფლიოს ანალოგიური პროცესებისაგან (უარყოფითი ფაქტორი)

დ) II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მოხდა მეცნ. მუშაკთა და ლექტორთა ხელფასების მკვეთრი მომატება, რამაც მეცნიერებისკენ და აკადემიური კარიერისკენ მიიზიდა არაპროპორციულად ბევრი ადამიანი, ამ დარგში დასაქმებულთა ხარისხი დააქვეითა და ხელი შეუწყო მასში ბიუროკრატულ-კარიერისტული სულისკვეთების განვითარებას (დადებითი და უარყოფითი მომენტების მომცველი ფაქტორი)

ე) სტალინის სიკვდილის შემდეგ (1953) უმაღლესი განათლების სისტემაში და საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში გაბატონდა მექრთამეობა მისაღებ გამოცდებზე, რის შედეგადაც მოხდა საშუალო განათლების სისტემაში ცოდნის დისკრედიტაცია, უმაღლეს სასწავლებელთა დისკრედიტაცია, სტუდენტთა კონტინგენტის ხარისხის დაცემა, სწავლისა და სწავლების ხარისხის დაცემა (მკვეთრად უარყოფითი ფაქტორი)

ვ) სტალინის სიკვდილისა და დემოკრატიული დასავლეთისაკენ გზის (ნაწილობრივი) გახსნის შემდეგ ამუშავდა დასავლეთის სამეცნიერო და აკადემიურ სისტემებთან საბჭოთა სპეციალისტების კონტაქტების მექანიზმი, რომელიც მთლიანად კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ. ეს კონტაქტები თითქმის მთლიანად შემოიფარგლა რუსეთის სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებით (რესპუბლიკებს იგი შეუდარებლად უფრო მცირე მასშტაბით შეეხო), რამაც თანდათანობით გამოიწვია რესპუბლიკების (მათ შორის — საქართველოს) ჩამორჩენა რუსეთისაგან მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ძირითად დარგებში: რუსეთის სასწავლო ცენტრებს, რომელთაც მანამდე მხოლოდ ადმინისტრაციული და პოლიტიკური უპირატესობა ჰქონდათ საქართველოს ანალოგიური ცენტრების წინაშე, რეალური პროფესიული უპირატესობა შეექმნათ.

ზ) „ვ)" ფაქტორის და „ე" ფაქტორის წყალობით თანდათან მკვეთრად დაქვეითდა განათლების დემოკრატიზაციის მექანიზმი (ანუ აკადემიური და პროფესიული კონკურენციის სფეროში მთელი მოსახლეობის მონაწილეობის მექანიზმი), რაც XX საუკუნის კოლოსალური მეცნიერული წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია: უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების გზა მეტ-ნაკლებად პრივილეგირებულთა მონოპოლიურ მფლობელობაში მოექცა (უარყოფითი ფაქტორი)

ი) საქართველოს მეცნიერების (და, შესაბამისად, განათლების) ხარისხის ჩამორჩენის გაღრმავების მიმართულებით უფრო და უფრო მზარდი მასშტაბით მუშაობდა მატერიალური უთანაბრობის ფაქტორი: საბჭოთა მეცნიერებას და განათლებას აფერხებდა ჩამორჩენა ტექნიკურ აღჭურვილობაში, ხოლო საქართველოს ჩამორჩენას რუსეთისაგან დამატებით აფერხებდა უთანაბრობა რუსეთის ცენტრების აღჭურვისთვის გაღებულ თანხებსა და საქართველოს ცენტრებისთვის გაღებულ თანხებს შორის. ამ უთანაბრობის შემცირება (ძალიან მცირე მასშტაბით) შეიძლებოდა მხოლოდ სხვადასხვა არაოფიციალური მეთოდებით — პირადი კონტაქტებით და ა.შ.

II. შევარდნაძის ეპოქის პოლიტიკა განათლების სფეროში

შევარდნაძის მმართველობის პირობებში ხელისუფლების პოლიტიკა ამ სფეროში შეიძლება დახასიათდეს ერთი ფორმულირებით: ყოველივე იმის განადგურება, რაც კარგი იყო სოციალისტურ სისტემაში, ყოველივე იმის ხელშეწყობა და აყვავება, რაც ცუდი იყო სოციალისტურ სისტემაში და რაც ცუდია თავისუფალი ეკონომიკის სისტემაში, არაფერი კარგის არმიღება და არ გახარება, რაც კარგია თავისუფალი ეკონომიკის სისტემაში. სახელდობრ:

ა) მიზანმიმართულად და დემონსტრაციულად — „იდეოლოგიური" დონის ჩართვით — ხელი იქნა აღებული საყოველთაო საშუალო განათლებისა და უმაღლესი განათლების მაქსიმალიზაციისათვის სახელმწიფოს ზრუნვის პრინციპზე. დღეს საქართველოში მოზარდი თაობისათვის საშუალო განათლების მიცემა თვით მოზარდის ამოცანად არის წარმოდგენილი და არა სახელმწიფოს ამოცანადაც. ამ პრინციპს რეალიზაციაა უფასო განათლებაზე შეტევა, მოწაფეთა მასობრივი გარეთ გამოყრა, სახელმძღვანელოთა არარეალისტური (სპეკულანტური) გაძვირება მათი მაფიის ხელში ჩაგდების გზით, მასწავლებელთა სოციალური (ეკონომიკური) დათრგუნვა, სკოლის შენობების „გაპრივატება" და დარჩენილთა ურემონტობა და ა.შ.

ბ) მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს და საშ. სპეციალურ სასწავლებლებში მექრთამეობისათვის ყოვლისმომცველი, სისტემური და დაუსჯელი ხასიათის მიცემა.

გ) განათლების დემოკრატულობაზე სრული ხელის აღება — როგორც „სოციალისტურზე" (ანუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულზე), ისე „თავისუფალზე" (ანუ საქველმოქმედო ფონდებით დაფინანსებულზე), განათლების შესაძლებლობათა ფაქტობრივი მოქცევა ოლიგარქების და სხვა პრივილეგირებულების ხელში. სრული უგულებელყოფა სახელმწიფოს მოვალეობისა, რომ იქონიოს ნიჭიერ ახალგაზრდათა შერჩევის და საზღვარგარეთ სახელმწიფო ხარჯზე სწავლების სისტემა, როგორიც ყველა თავისუფალ სახელმწიფოს აქვს.

დ) უხარისხო და უკონტროლო კერძო „უმაღლესი სასწავლებლების" ფართო ქსელის შექმნა, სადაც განათლება ფაქტიურია, და ამით უსწავლელთათვის ფართო გზის გახსნა სახელმწიფო ადმინისტრაციული თანამდებობებისაკენ, განათლებული, მაგრამ „უპატრონო" ახალგაზრდების ხარჯზე.

ე) სასწავლო პროგრამების „ლიბერალიზაცია" ანუ სახელმწიფო მოთხოვნის შერბილება (ფაქტობრივად — მოხსნა) ცოდნის იმ მინიმუმის მიმართ, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფოს მიერ მისი ატესტატის ან დიპლომის აღიარებისათვის.

ვ) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ განათლების სისტემაში და კერძო სისტემაში პროგრამების „რეფორმირება" ანუ შეცვლა ფუნდამენტური ცოდნის შეზღუდვის მიმართულებით, რასაც საფუძვლად უდევს (ხან გამოთქმული და ხან მდუმარედ ნაგულისხმევი) პრინციპი „გასწავლი იმას, რაც დღეს და ხვალ გჭირდება, მაგრამ არა ამაზე მეტს". ამ პრინციპით მიდგომა იწვევს მოსწავლის მიბმას იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებაზე და იმ „ტექნოლოგიურ" (ამ სიტყვის ფართო აზრით) დონეზე, რომელიც არსებობს დღეს, მაგრამ გარდუვალად შეიცვლება ხვალ ან ზეგ, და ამით ართმევს მას შანსს, რომ მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ ან სხვა პროფესიულ საქმიანობაში ხუთი, ათი და თხუთმეტი წლის შემდეგ.

ზ) სასწავლო პროგრამების რეფორმირების (რაც უდავოდ საჭიროა) საბაბით დამყარდა ანარქია და განუკითხაობა საშუალო განათლების შინაარსის სფეროში. მასწავლებლის მიერ თავისი გემოვნებით ასარჩევი სახელმძღვანელოების გარდა (რაც, უდავოდ, კარგია) არ არის არც ცოდნის სავალდებულო მინიმუმი ყველა საგანში. არ არის (და, რაც უარესია, არც იგეგმება, რომ შეიქმნას) სკოლაში გასავლელ კურსთა უფრო ფართო რეკომენდირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოყენებული იქნება (არასავალდებულო წესით) განსაკუთრებით მონდომებული მოწაფეების მიერ, წრეების მიერ და თვით მასწავლებელთა მიერ.

თ) ექლექტურად, ყოველგვარი გააზრებისა და ინფორმაციის წინასწარი შეგროვების გარეშე სკოლაში ხდება იმგვარი საგნების, ლიტერატურისა და თვალსაზრისების შეტანა, რომელიც რეკლამირებულია და გამოყენებულია სკოლაში მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში, მაგრამ არა პედაგოგიური მიზნით, არამედ სხვა რამ (სახელდობრ, საპრეზიდენტო ბრძოლა) ისეთი პროდუქტი, დასავლეულირებლად, რომელიც საქართველოს წინაშე არ დგას (ან სულ სხვაგვარად დგას, ვიდრე ზემოხსენებულ უცხო ქვეყანაში). მკვეთრი მაგალითია „სქესობრივი აღზრდის" სახელმძღვანელოს დანერგვის მცდელობა, რასაც დასავლეთში მხოლოდ არარეგულირებული გამრავლების შეჩერების მიზანი აქვს, ანუ ისეთი მიზანი, რომელიც ქართველი ხალხის წინაშე მდგომ ამოცანებთან პირდაპირ წინააღმდეგობაშია. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი ისაა, რომ განათლების სისტემა მიზნად არ ისახავს პიროვნების, როგორც მოვალეობათა მატარებლის, ფორმირებას, რაც სახელმწიფოებრივად რეგულირებული ყველა განათლებული სისტემის ძირთადი მიზანია. ამ მიზნით მართული სისტემის გვერდზე შესაძლებელია (და ბუნებრივია) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებობაც, რომლებიც მოწაფეში მხოლოდ მისი პირადი წარმატებისათვის საჭირო თვისებებს ავითარებენ და მას სათანადო ცოდნით ამარაგებენ. მაგრამ მეორეთა არსებობა ვერ აუქმებს პირველის არსებობის საჭიროებას.

თ) ფუნდამენტური ცოდნის მიცემა საშუალო სკოლაში და, მით უმეტეს, უმაღლეს სკოლაში დღევანდელ პირობებში შეუძლებელია მეცნიერების განვითარების მიყოლის ანუ მეცნიერული პროგრესის კურსში ყოფნის გარეშე, ანუ შეუძლებელია საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში ადექვატური ცოდნის მიცემა ისეთ ქვეყანაში, რომელშიც ფუნდამენტური მეცნიერება არ არსებობს. დღეს საქართველოში ფუნდამენტური მეცნიერების ჩაკვლის მიზანმიმართული პოლიტიკა ტარდება, სახელდობრ, მისი „დახრჩობისა" დაუფინანსებლობის საშუალებით. სახელმწიფოს პოლიტიკაში რომ ეს ცნობიერი მიზანიც დევს, ჩანს შემდეგი მაგალითიდან: საქ. მეცნიერებათა აკადემიის განუხრელი შემცირების პროცესში, რომელიც სახსრების უქონლობითაა მოტივირებული, მოქმედებს ასეთი ინსტრუქცია: ინსტიტუტებს ევალებათ არა მხოლოდ ის, რომ თავისი ბიუჯეტი შეკვეცონ, არამედ ისიც, რომ თანამშრომელთა რაოდენობა შეკვეცონ, ანუ მათ ეკრძალებათ ხელფასი შეუმცირონ, პროპორციულად, ყველა იმ თანამშრომლებს, რომლებიც მეცნიერულ გუნდს ქმნიან, და ამით მათ საშუალება მისცენ, თავი დროებით სხვა საქმით შეინახონ (თუნდ ფიზიკური შრომით ან რეპეტიტორობით), მაგრამ მეცნიერული კოლექტივი, როგორც ასეთი, არ დაშალონ.

III. მდგომარეობის გამოსწორების გზა

ალბათ, არავისთვის სადავო არ არის, რომ განათლება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი იმ (არც თუ მრავალრიცხოვან) დარგთაგანია, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დაფინანსება (გარკვეული მიზნით) სახელმწიფოს მიერ. ამიტომ სახელმწიფო ეკონომიკის ზოგადი გაჯანსაღების და სახელმწიფოში ზოგადი საფინანსო დისციპლინის რაღაც დონის მიღწევის გარეშე განათლების საქმის გადარჩენა შეუძლებელია. მაგრამ დაფინანსების ამ მინიმუმის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია მისი გამოყენების სხვადასხვა გზათა არჩევა — ზოგი მართებულისა და ზოგიც უმართებულოსი. განათლების სწორი პოლიტიკა ჩვენ ასე გვესახება:

1. საყოველთაო საშუალო განათლება სახელმწიფოს ხარჯზე,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკელების პოზიცია ჩეჩნეთის საკითხზე უფრო მკვეთრი ხდება

აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ პაიფერმა 19 სექტემბერს შემდეგი განცხადება გააკეთა:

„სამწუხაროდ, ჩემი უკანასკნელი მოხსენების შემდეგ ჩეჩნეთის მშვიდობიან მაცხოვრებელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. უკვე ოთხი წელია, რაც გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი ამ რესპუბლიკაში. როგორც ჩეჩენთა, ისე რუს სამხედრო მოსამსახურეთა დანაკარგები იზრდება. ჩეჩენთა უმრავლესობის ცხოვრების პირობები როგორც ჩეჩნეთში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში ძველებურადვე შემზარავია. ჩეჩნეთში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევას. გახშირდა ტერორისტული აქტები ჩეჩენ ექსტრემისტთა მხრიდან, თუმცა რუსეთის მთავრობა გარკვეულ ძალისხმევას ახორციელებს პრობლემის პოლიტიკური გადაჭრის მოსაძებნად ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევის გზით, სრულებითაც არაა უეჭველი, რომ ამგვარ ნაბიჯებს შეუძლია რესპუბლიკაში მშვიდობის დამყარებამდე მიგვიყვანონ.

„ჩეჩნეთში არსებული არასტაბილობა ართულებს როგორც გლობალურ ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, ისე რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა მოგვარებას. ქაოსმა და ხელისუფლების უყოლობამ, რომლებიც პირველმა ომმა შექმნა, რესპუბლიკაში მიიზიდა საერთაშორისო ტერორისტები. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეთა დამოკიდებულებამ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი დღევანდელი ომის მანძილზე, თავის მხრივ, გამოიწვია ექსტრემიზმის ზრდა და ამით კიდევ უფრო გაამწვავა კონფლიქტი. რუსეთის ხელისუფალთა მიერ კონფლიქტის შავ-თეთრი ხედვა ძალიან რთულს ხდის ჩვენს თანამშრომლობას ჩვენს ანტიტერორისტულ მოქმედებაში, ვინაიდან იგი იწვევს მოსახლეობის სიმპათიას ექსტრემისტული ორგანიზაციებისადმი და ძირს უთხრის მსოფლიო საზოგადოებრიობის ნდობას რუსეთის ხელისუფალთა მოქმედებისადმი. ეს, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე.

„ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევა კვლავაც რჩება შეერთებული შტატებისათვის ყველაზე ამაღელვებელ პრობლემად. რუსთა მოქმედების შედეგად დაღუპულების ზუსტი რიცხვი უცნობია, ვინაიდან ხელისუფალნი გულმოდგინედ უზღუდავენ საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებს ზუსტ მონაცემებთან მისვლის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, სანდო საერთაშორისო ორგანიზაციები — ჩეჩნურიც, რუსულიც და დასავლურიც — ისევ და ისევ იტყობინებიან მოტაცებების, წამების და სასამართლოს გარეშე მკვლელობის შემთხვევებს, რასაც რუსი სმხედრო მოსამსახურეები სჩადიან.

ომი და ადამიანის უფლებათა დარღვევა ჩეჩნეთში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ჩვენი თანამშრომლობისათვის რუსეთთან. ჩვენი ადმინისტრაცია გამუდმებით ახსენებს რუსეთის მთავრობას იმის აუცილებლობას, რომ გადადგმულ იქნას კონკრეტული ნაბიჯები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

კავკასიაში მიმდინარე უწყვეტი შეიარაღებული კონფლიქტების მოჯადოებული წრიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს — ესაა ადამიანის უფლებათა უპირობო დაცვა. გარდა ამისა, ჩვენ შევახსენებთ ჩვენს რუს პარტნერებს, რომ, ვცნობთ რა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენ კვლავ და კვლავ ვითხოვთ კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებას.

1974 წელს თურქეთის სამხედრო ჩარევის შედეგად გაფართოვდა კვიპროსის თურქული ნაწილის სამფლობელო და შემცირდა მისი ბერძნული ნაწილისა. თურქებს, რომლებიც მოსახლეობის 18%-ს შეადგენენ, მას აქეთ კუნძულის ფართობის 37% უკავიათ. საერთაშორისო ესტაბლიშმენტი, გაეროს ჩათვლით, აქტიურად მუშაობს, რათა მხარეები შეათანხმოს, მაგრამ ჯერჯერობით საწადელს ვერ აღწევს. შეთავაზებული პირობები ასეთია: ფომფლო ფედერაცია. კვიპროსის, როგორც მთელის, შეყვანა ევროკავშირში, რაც მას დიდ ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანს. თურქული თემი ტერიტორიის 8%-ს უთმობს ბერძნულ თემს. როგორც ვხედავთ, ეს წინადადებები ემ-

საგულისხმო მაგალითი
(ფაქტები თუ სამართალი? კვიპროსელები არჩევანის წინაშე)

— არ მიიღო. მის შეურიგებელ პოზიციას ამაგრებენ თურქეთის გენერლები, რომლებიც კვიპროსის თურქულ ტერიტორიას მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიყარება დღესდღეობით არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, მაგრამ არა სამართლის პრინციპებს, რომელთა თანახმადაც, თითქოს, ძალადობით მოპოვებულის შენარჩუნება, — თუნდ ნაწილობრივი, — შეუძლებელი უნდა იყოს.

ბერძნული თემის ლიდერმა პაპადოპულოსმა მიიღო გაეროს ეს წინადადება, თუმცა შენიშნა, რომ ბერძენთა წყლულებს ამით მაინცდამაინც არ ეკურნება, თურქული თემის ლიდერმა კი ციად თვლიან. თურქეთს, THE ECONOMIST-ის აზრით, იმის იმედიც აქვს, რომ კვიპროსის საკითხს გამოიყენებს ევროპელებთან ვაჭრობისას ევროკავშირში თურქეთის შეშვების თაობაზე, მაგრამ ეს იმედი, ჟურნალის აზრით, ამაოა. ჟურნალს უფრო იმის იმედი აქვს, რომ თურქული თემის ავადმყოფი ლიდერი დენქთაში მალე წავა, ხოლო რეფერენდუმის შემთხვევაში ორივე თემი გაეროს წინადადებებს „ჰოს“ ეტყვის.

ჩინელი სტუდენტები ინგლისში

ჩინელი სტუდენტი ქალი ინგლისში

თუ დავუჯერებთ THE ECONOMIST-ს (მისი დაჯერება კი, ალბათ, გვმართებს), ბრიტანეთის უნივერსიტეტები ახლოდან ცუდად გამოიყურება: ზედმეტად ხალხმრავალი, სალაროდაცლილი და დემორალიზებული, მაგრამ შორიდან ისინი მიმზიდველად ჩანან, განსაკუთრებით — ჩინეთიდან, სადაც შვილებისთვის საზღვარგარეთული განათლების მიცემა ძალიან მოდაშია. ინგლისის 143 ათასი უცხოელი სტუდენტიდან 18 ათასი ჩინელია. ყველაზე უფრო ისინი ეტანებიან ბიზნესის და ბუღალტერიის შესწავლას, მეორე ადგილზე საინჟინრო სპეციალობები დგას. ფულს აკურატულად იხდიან (დაახლოებით 8 ათას ფუნტს წლიურად). პროფესორთა აზრით, ადგილობრივ სტუდენტებზე უფრო გონებამკვირცხლნი და შრომისმოყვარენი არიან. მაგრამ მათ სხვა უნდათ, ვიდრე ისაა, რასაც ბრიტანული უნივერსიტეტები სთავაზობენ. მაგალითად, მათ არ უყვართ დისკუსია აუდიტორიაში და უყვართ ზეპირობა. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც სხვაგვარნი არიან: არ უყვართ დალევა, არ იციან საჭმლის მომზადება (განსაკუთრებით, თუ ერთშვილიან ოჯახს ეკუთვნიან, რაც ჩინეთში წესია, და ამით განებივრებულნი არიან), მით უფრო, რომ შინ წასაღები საჭმელი ძალიან იაფია. იმდენად მცირედ ეკონტაქტებიან ინგლისელ კოლეგებს, რომ საყოფაცხოვრებო ინგლისური ავიწყდებათ იმასთან შედარებით, რაც მანამდე იცოდნენ. ინგლისურად მეტყველებისას ყოვნდებიან სიტყვების შესარჩევად და ხშირად სულაც დუმან, რითაც ნერვებს უშლიან სხვებს. შინ მიჩვეულნი არიან იმას, რომ აუდიტორიის გარეთ პროფესორი და სტუდენტი ტოლებივით არიან. ინგლისში რომ ეს ურთიერთობა სხვაგვარია, ეუცხოებათ. ინგლისის და სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნების, მაგ. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის უნივერსიტეტები დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ მოერგონ თავის ამ მრავალრიცხოვანი მუშტრების გემოვნებას.

არანაკლებ პოპულარულია, მაგრამ ბევრად უფრო ძვირია ჩინელი ბაშვების სწავლება საზღვარგარეთულ სკოლა-ინტერნატებში. ამ ხარჯის გაღება მხოლოდ ძალიან შეძლებულ ჩინელებს შეუძლიათ — როგორც თეთრი, ისე შავი ფულის პატრონებს. გასაგზავნი ბავშვები, ჩვეულებრივ, ერთშვილიანი ოჯახის შვილები არიან ხოლმე (ამას მოითხოვს კანონი ქალაქელი ოჯახებისაგან), რომლებსაც მშობლები ზედ დაჰკანკალებენ, და ძალიან განებივრებულნი არიან, რის გამოც აუარებელ ფულს ფლანგავენ ხოლმე. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც საზღვარგარეთ ინტერნატში სწავლას მიმზიდველს ხდის მშობლებისათვის ისაა, რომ საზღვარგარეთ აღებული ატესტატი დიდად უწყობს ხელს ჩინეთშივე უნივერსიტეტში შესვლას, სადაც ძალიან მძიმე საგამოცდო პროგრამაა ხოლმე.

პატარა და ძალიან ცივი ომი
(კუბა და ევროკავშირი)

ევროკავშირი საგრძნობლად ეხმარება კუბას. მხოლოდ „დახმარება განვითარებისათვის“, რომელსაც კასტრო იღებს, 15 მილიონი ევროა წლიურად. კუბა ევროპელებთან ვაჭრობს, მას აუარებელი ევროპელი ტურისტი პყავს. კუბა ისწრაფის კოტონუს შეთანხმებასთან შეერთებას — 78 ყოფილი ევროპული კოლონიის კავშირთან, რომლის წევრებსაც ევროპელთა მიერ საკმაოდ ხელსაყრელი სავაჭრო პირობები აქვთ შექმნილი. მაგრამ კუბას, როგორც ერთპარტიულ ქვეყანას, ამ მიზნის მიღწევა გაძნელებული აქვს.

კასტრო დროდადრო ჯიუტობს და აცხადებს ხოლმე, რომ ევროპელები კუბის საშინაო საქმეებში ერევიან, ისე როგორც „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებს სჩვეოდათ ცივი ომის დროს, მაგრამ, ძირითადად, საქმე მაინც ურთიერთობათა განვითარებისკენ მიდის. ასევე კანონზომიერია, რომ კასტრო მაშინ ტკბება ხოლმე, როცა უჭირს, და ევროკავშირში ზოგი მხარს უჭერს კუბის მიღებას კოტონუს შეთანხმებაში, რადგან ამით ხელი შეეწყობა დემოკრატიას კუბაში, ზოგი კი პირიქით ფიქრობს.

ჩვენი ბირთვოსანი მეზობელი
(ირანის ატომური ამბიციების პერსპექტივები)

მკითხველმა იცის, რომ რუსეთი წლების მანძილზე ეხმარება ირანს ბირთვული პროგრამის განხორციელებაში. მშენებარე რეაქტორი, რომელსაც აჩენენ და არეკლამებენ, სპარსეთის ყურის ნაპირზეა, ბუშერში. სხვა ორი, რომელსაც არ არეკლამებენ, ნატანძსა და არაქშია. უცხოელები, გარდა რუსეთისა, კვირობენ, რად უნდა ირანს ბირთვული ენერგია, როცა თავზე საყრელად ნავთობი აქვს. რუსეთის სამხედრო დახმარებაში ირანისადმი ხელშემშლელ როლს თამაშობს დასავლეთი, რომელმაც, მაგალითად, 2001-2002 წლებში რუსეთს არ მიაყიდინა ირანისთვის 2 მილიარდი დოლარის იარაღი. ხელი ეშლება რუსეთის მიერ ირანთან ნაკისრი ვალდებულებების დროულსა და სრულ განაღდებასაც ბირთვული ობიექტების მშენებლობის დარგში. მიუხედავად ამისა, პროგრამა გრძელდება. ირანი აცხადებს, რომ იგი გაგრძელდება „უსამართლო ემბარგოს“ მოხსნამდე და რომ მას 5 რეაქტორი სჭირდება. საეჭვოა, საქართველოს უახლოეს მომავალში ახალი ბირთვოსანი მეზობელი არ გაუჩნდეს.

ყურებჩამოყრილი ლიტერატურა

იაპონიის ხანგრძლივ ეკონომიკურ ზეობას შესაბამისი ტრიუმფატორული ლიტერატურა მოჰყვა. იდეა, იაპონელებმა ყველაზე უკეთ ვიცით საზოგადოების ორგანიზება, ამას ჩვენი მიღწევები მოწმობსო, ამ ლიტერატურაში განუყოფლად ბატონობს. ახლა, როცა იაპონიის ეკონომიკამ მოიწყინა, ლიტერატურაც, ცოტა არ იყოს, დაღონდა. ცხადია, რომ ამ მოწყენაში თავისი როლი ეკუთვნის იაპონიის თავს დამტყდარ ორ უბედურებასაც — მინისძვრას კობეში და სექტანტების მიერ გაზით ხალხის დახოცვას მეტროში (ორივე მოხდა 1995 წელს).

„ჩურჩული“ და შიდაპოლიტიკური ზრდილობა

(აშშ-ს პოლიტიკის შინასამზარეულოს გამო)

ჯანსაღ საზოგადოებაში აზრებიც განსხვავებულია და პოზიციებიც. დაპირისპირებები, ეჭვები, უნდობლობა არსებობს და არ იმალება. მაგრამ საზოგადოების ძალა იმაშია, რომ ურთიერთმოპირისპირეები და ურთიერთმოეჭვეები საზოგადოების ერთიან დემოკრატიულ სტრუქტურაში ორგანულად ეწერებიან და ერთიანი კანონის ჩარჩოებში ერთიანი სახელმწიფოებრივი მიზნის სასარგებლოდ მოქმედებენ. შეერთებულ შტატებში რამდენიმე ძლიერი ეთნიკური და რელიგიური თემი არსებობს. მათი შინაგანი სოლიდარობა დიდია და, მაშასადამე, მათი ურთიერთგანსხვავებულობის ხარისხიც. მაგრამ დიდია მათი მაკავშირებელი სახელმწიფოებრიობის ფაქტორიც, რომელიც მათი შეწყობილი პროდუქტიული მოქმედების გარანტიას ქმნის.

მკითხველს გავაცნობთ (შემოკლებით) ამ თემისადმი მიძღვნილ წერილს ბრიტანული THE ECONOMIST-ის ერთი აწ უკვე დროგადასული ნომრიდან, რომელიც ამ თემისადმი ფაქიზი მიდგომის ნიმუშსაც წარმოადგენს და ტონის შერჩევისასაც. როცა მეგობრების შინაგან პრობლემებზე მსჯელობთ, საუბარი ეხება პოლიტიკური საზოგადოებრიობის დამოკიდებულებას „ახალი კონსერვატორების“, ანუ ბუშის ყველაზე ახლობელი ჯგუფის პოლიტიკისადმი, რომელიც (ეს ჯგუფი) ძირითად ებრაული წარმოშობისა და სარწმუნოების ამერიკელებისაგან შედგება.

„ჯიმ მორანს, დემოკრატ კონგრესმენს ვირჯინიის შტატიდან ენამახვილის რეპუტაცია აქვს. მაგრამ მისი ბოლო BON MOT (მოსწრებული სიტყვა. რედ.) შეიძლება სავარძლად დაუჯდეს. 3 მარტს ამ ირლანდიელმა კათოლიკემ თქვა, ერაყის მოახლოებული ომი შეიძლება ამერიკელი ებრაელების მოწყობილი იყოსო. „ებრაული თემის მძლავრი მხარდაჭერა რომ არა, შეიძლება ერაყში ომისკენ საქმე არც წასულიყოო“.

„მისტერ მორანის ამ კომენტარის მისვლას ვაშინგტონის

პოლიტიკის მთავარი ნაკადის ყურადღებამდე დიდი დრო დასჭირდა და ამ ხნის მანძილზე ავტორმა უკვე მრავალი ბოდიში მოიხადა. მაგრამ იგი დღესაც ყველა აღმსარებლობის რესპუბლიკელებისა და დემოკრატების კრიტიკის ქარცეცხლში დგას. რეაქცია, რომელმაც უკვე მოიცვა ადგილობრივ რაბინთა მოთხოვნები, რომ იგი გადადგეს, თეთრი სახლის საყვედურები და შეგონებები კონგრესის ლიდერთა მხრიდან, მოგვაგონებს მისისიპელი სენატორის ტრენტ ლოტის საქმეს, რომელმაც არაპირდაპირი ქება უძღვნა სეგრეგაციას და ამის გამო იძულებული გახდა რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერობიდან გადამდგარიყო.

„მისტერ მორანი ამბობს, გადადგომას არ ვაპირებო. მაგრამ მის პოზიციას ასუსტებს მისი არც თუ უხინჯო პოლიტიკური ბიოგრაფია. 2001 წელს მან მკვეთრად მოიხსენია არილ შარონი ამერიკელ მუსლიმანთა საბჭოს შეკრებაზე. მას აკრიტიკებენ იმისთვისაც, რომ, თითქოს, პოლიტიკური შემოწირულობები მიულია (და შემდეგ დაუბრუნებია ეს თანხები) მუსლიმანური ორგანიზაციებისგან, რომლებიც ფედერალური ხელისუფლების მიერ ეჭვმიტანილები არიან ტერორისტულ ჯგფუებთან კავშირის გამო.

„მისტერ მორანი მარტო როდია თავის ამ ეჭვებში იმის თაობაზე, თუ რატომაა, რომ ბუშის ადმინისტრაციაში შემავალი ამდენი „ქორი“, თავდაცვის მდივნის მოადგილის პოლ ვოლფოვიცისა და პენტაგონის სათავდაცვო კომიტეტის თავმჯდომარის რიჩარდ პერლის ჩათვლით, ებრაელები არიან. თანდათანობით არაერთი მემარცხენე და მემარჯვენე საჯაროდ იწყებს იმის გამოთქმას, რასაც ერთი-ორი ზომიერი მანამდე მხოლოდ ჩურჩულით წარმოთქვამდა: რომ ერაყის ომის საქმეს წინ სწევენ „მტკიცე ხაზის“ ებრაელი მომხრენი, რომელთაც უფრო აინტერესებთ ისრაელის დაცვა, ვიდრე ამერიკის ეროვნული ინტერესებისა.

„მემარცხენე-ცენტრისტმა ბრიტანელმა პოლიტიკოსმა შირლი უილიამსმა, რომელიც გათხოვილია ერთ-ერთ გავლენიან ამერიკელ ინტელექტუალზე, რიჩარდ ნოიშტადტზე, ლორდთა პალატას განუცხადა, რომ „ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკას გარკვეული ზომით მუხტს აძლევს ის, რასაც მე ფუნდამენტალისტური ქრისტიანული და ფუნდამენტალისტური ებრაული დაწოლა უნდა ვუწოდო — ისეთივე ძლიერი, როგორც თვით ისლამური ფუნდამენტალიზმია“. რაბინ მაიკლ ლერნერს, რომელიც ებრაულ ჟურნალს „ციკკუნს“ რედაქტორობს, ობსტრუქცია მოუწყეს ომისსაწინააღმდეგო თავყრილობაზე სან-ფრანცისკოში, რადგან სპონსორებმა არ ისურვეს „პროისრაელური განწყობის“ ორატორის სმენა.

„მემარცხენეებში ვერც ერთიდისკუსია ისე ვერ ჩაივლის, რომ ვიღაცამ არ ახსენოს „ნეოკონსერვატორთა (ბუშის ახლობელი ჯგუფის წევრთა. რედ.) მოქმედება, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვს ისრაელთან და უკვე მრავალი წელია გეგმავენ ყველაფერს, რაც ახლა ხდება“. ჯერ კიდევ 1996 წელს ამერიკის გამოჩენილმა ებრაელებმა, ამჟამად ბუშის მაღალმა თანამდებობის პირებმა, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ნათანიაჰუსთან, შეადგინეს მოხსენებები და რეკომენდაციები, რომლებშიც სადამ ჰუსეინის გადაგდებას ითხოვდნენო.

„მემარჯვენეებშიც ომის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიტიკოსი, პატ ბუხანანი ამერიკის პოლიტიკაში ებრაული ლობის დაუძინებელი კრიტიკოსიცაა. 1990 წელს, მისი აზრით, სპარსეთის ყურის ომის დაწყებაში დიდი როლი აქვთ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს და მის ამერიკელ მეგობრებს. ამჟამად მას დაარსებული აქვს ჟურნალი, რომელშიც ცდილობს კონსერვატული მოძრაობა გაათავისუფლოს ნეოკონსერვატორთა გავლენისაგან, რომელნიც ძირითადად ებრაელები არიან.

წერილი მთავრდება სიტყვებით: „1930-იან წლებში, როცა ანტისემიტიზმი მოდებულიც იყო ამერიკაში და პატივცემულიც, ჩარლზ ლინდბერგი და მისი თანამოაზრენი გულს იმჯიღავდნენ და აცხადებდნენ, ებრაული ინტერესი ცდილობს, გერმანიასთან უმიზნო ომში შეგვითრიოსო. დღეს ამერიკაში სოფლის კლუბებსაც და უნივერსიტეტებსაც ხელი აღებული აქვთ (ეთნიკურობისა და სარწმუნოების მიხედვით. რედ.) ადამიანთა შეზღუდვაზე და ქვოტების დაწესებაზე. მაგრამ ზოგს ჯერ კიდევ ჰსურს ბნელი ებრაული ძალები დაინახოს, რომლებიც ამერიკელებს ითრევენ უსარგებლო საგარეო ოპერაციებში. მისტერ მორანი, ისევე როგორც მისტერ ლოტი, შემაზუხებელი შეხსენება ბრძანდება ამერიკის წარსულის ერთი ბნელი ნაწილისა“.

დარვინიზმი და მორალი

(რატომ არ გადაშენდნენ ალტრუისტები?)

დარვინისტების, ტრადიციულად, დაუძლეველის შემდეგი კითხვა: ხომ ფაქტია, რომ ადამიანს, ისევე როგორც ზოგ ცხოველს, ახასიათებს სიკეთის ქმნა, რომლისთვისაც ჯილდოს ვერიღებს. როგორ ეგუება ეს ევოლუციას ბუნებრივი შერჩევის გზით? რატომ არ გაქრა დღემდე სიკეთის გენი, თუკი იგი, როგორც წესი, თავისი გარჯის საზღვაურს ვერ ღებულობს? ჩვეულებრივ პასუხი ასეთია: მე რომ სიკეთეს ვიქმ, სხვაც დაახლოებით ასევე იქმს სიკეთეს ჩემს მიმართ. მაგრამ ეს პასუხი უკმარისია, რადგან სიკეთეს ყველა ინდივიდი არ იქმს, არამედ ბევრია „მატყუარა“ და მუქთახორა მჭამელი“. ამის ახსნა, თითქოს, შემდეგია: ალბათ, არსებობს (და რეალურადაც ვხედავთ, რომ არსებობს) მატყუარისა და მუქთახორის დასჯა. მაგრამ მაშინ ჩნდება კიდევ ახალი კითხვა: დასჯას ხომ გარჯა სჭირდება. რატომ ვიხარჯები მე ამ დასჯის განსახორციელებლად (საზოგადოების ინტერესებში), როცა პირადად ჩემთვის ამის საზღაურად ვერაფერს ვიღებ?

ამ თეორიული ჩიხიდან გამოსვლა სცადა ლოს-ანჯელესელმა ანთროპოლოგმა რ. ბოდიმა. მან კომპიუტერში გაათამაშა ისეთი „საზოგადოების“ ბედი, რომელიც შედგება ერთმანეთში „არსებობისათვის მებრძოლი“ ჯგუფებისაგან, ხოლო ყოველი ჯგუფი შედგება სამი ტიპის „ინდივიდებისგან“: „ალტრუისტებისგან“, „მუქთახორებისგან“ ანუ სხვათა სიკეთის გამომყენებლისაგან და სიკეთის არმქმნელისაგან, და „დამსჯელისაგან“, ანუ იმისგან, ვინც სიკეთესაც იქმს და მის არმქმნელსაც „სჯის“.

სანამ ჯგუფები პატარა იყო, მათ „დამსჯელებიც“ არ სჭირდებოდათ, ისე ხდებოდა მათში „ალტრუისტების“ გაბატონება. „მუქთახორობას“ აქ დიდი ასპარეზი არ ჰქონდა. „ალტრუიზმი“ კი ეხმარებოდა ამ პატარა ჯგუფს სხვა ასეთსავე ჯგუფებთან „მეტოქეობაში“ და, ამგვარად, არაპირდაპირ ეხმარებოდა თავის ყველა წევრსაც, „მუქთახორას“ ჩათვლით, მაგრამ როცა ჯგუფები გაზარდეს, „მუქთახორები“ გაბატონდნენ (ანუ „ინდივიდის“ მიერ „მუქთახორობით“ მოპოვებულმა სარგებლობამ ჯამურად გადააჭარბა „ჯგუფის“ მიერ ამის გამო განცდილ ზარალს. მაგრამ როცა პატარა ჯგუფებში „დამსჯელები“ ჩართეს, ამან სწრაფი შედეგი მოიტანა: მათი მოქმედების ნაყოფმა — „მუქთახორობის“ დართგუნვამ — სწრაფად გადაწონა ის „ხარჯი“, რომელიც „დამსჯელებს“ თავის ამ ფუნქციის შესრულებაში უნდა გაელოთ. ეს ეფექტი განსაკუთრებით ძლიერია მაშინ, როცა „მუქთახორების“ რიცხვი მცირეა.

ამ მონაცემებიდან პრაქტიკამდე დიდი მანძილია, მაგრამ იგი გადაულახავი არ არის. მაგალითად, დადგენილია, რომ თუ ადრე კაცობრიობაში 150-180 კაციან ჯგუფში „დამსჯელები“ არ იქნებოდნენ, ამ ჯგუფში „ალტრუისტული“ გენი ჩაკვდებოდა. ცვალდია, რომ სინამდვილისგან ამ კომპიუტერულ თამაშს ისევ აშორებს, რომ მისი „პერსონაჟები“ ერთგვაროვან სივრცეში ცხოვრობენ, რეალური პირველყოფილი და ახალი ადამიანები კი — დასერილსა და არაერთგვაროვან გეოგრაფიულ სივრცეში, სადაც ყველა ყველას ვერ ხვდება.

THE ECONOMIST-ის ეს ცნობა ფრიად საგულისხმოა ჩვენი ქვეყნისათვის. კითხვა დგას: როგორია „ალტრუიზმის გენის“ პერსპექტივა, როცა გარშემო, განსაკუთრებით კი მაღალ სართულებში საყოველთაო „მუქთახორული“ გენი სუფევს?

ნარკოტიკები შუა აზიაში

მას შემდეგ, რაც განახლდა ნარკომცენარეების მოყვანა ავღანეთში, შუა აზია მისი პროდუქციის ერთი მეოთხედის გამტარებელი გზაა. ამ გზის ჩამოყალიბება დაიწყო 1990-იანი წლებიდან, ხოლო ჰეროინი აქ გაჩნდა 1995 წელს. შუა აზიისთვის ამ სატრანზიტო ბიზნესს 2,2 ათასი დოლარი მიაქვს. ავღანეთში ნაწარმოები ყოველი 4 კგ ნარკოტიკიდან 1 კგ შუა აზიის გზით გადის. შუა აზიაში ეს საქმე წლიურად 2,2 მლრდ დოლარს ტოვებს. ყველაზე დიდი დაწოლის ქვეშ იმყოფება ტაჯიკეთი, რომელსაც ავღანეთთან 1400 კმ სიგრძის თითქმის დაუცველი საზღვარი აქვს. პაკისტანი და ირანი უსასტიკესად სდევნიან ნარკობიზნესს და ნარკოტრანზიტს (რასაც ვერ ვიტყვით ყველა სხვა ქვეყანაზე, სადაც ამ ბიზნესის ტრასები გადის). ტაჯიკისტანმა 2002 წელს თითქმის 4 ტონა ჰეროინი დააკავა, მაგრამ, ფიქრობენ 80 ტონა ხელიდან გაუსხლტა. გადატანის ფასმა ძალიან აიწია იმასთან დაკავშირებით, რომ „საქონელი“ (ჰეროინი) ახლა უფრო კარგად იწმინდება, ვიდრე ადრე იყო. ვითარდება დაკავების ხერხები, კითარდება კონტროლისათვის თავის არიდების ხერხებიც, აგრეთვე „ტრეფიკერთა“ ორგანიზაცია და შეიარაღება. ტაჯიკეთში ნარკოტრაზიტთან ბრძოლას თვით პრეზიდენტი აკონტროლებს. აღჭურვილობა კარგია. ეს ბრძოლა დღეს ერთადერთია, რაშიც შუა აზიის ქვეყნებს საერთო ენა აქვთ მონახული. ვინაიდან ნარკოტიკების გადამტანებს ნატურით უხდიან, ეს ბიზნესი თავის უკან ნარკომანთა ფართო კუდს ქმნის. გაეროს მონაცემებით, შუა აზიაში ნარკომანიის ზრდამ ყველაზე დიდი ციფრი გვიჩვენა მსოფლიოში. ამ რეგიონში დღეს 300 ათასი ნარკომანია, ბავშვების ჩათვლით.

ნარკოგზები შუა აზიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობა

რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში არსებობის შესახებ დღევანდელ ვითარებაში, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამი ძირითადი თვალსაზრისი არსებობს (ძალიან სქემატური კლასიფიკაციით).

პირველი. „რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა სასურველია: რუსეთი ჩვენი მეგობარია, იგი გვიცავს მესამე სახელმწიფოების (პირველ რიგში — თურქეთის) შესაძლო აგრესიისაგან. მათი აქ ყოფნა ხელს უწყობს რუსეთის კეთილგანწყობას საქართველოსადმი და ამ გზით ზრდის იმის ალბათობას, რომ რუსეთი აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში შეგვიშვებს.

მეორე. „რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში არსებობა დაუშვებელია. რუსეთი ჩვენი ქვეყნის მტერია და მისი ბაზები ძლიერი იარაღია ჩვენს ტერიტორიაზე მისი მავნე საქმიანობის განსახორციელებლად“.

მესამე. „რუსეთის ბაზების საქართველოში ყოფნას ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს (ან: მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა). მაგრამ ეს ზიანი, პრაქტიკულად, ნულისკენ მიისწრაფის: საქართველოს გადაორიენტირება დასავლეთისკენ შეუფერხებლად მიმდინარეობს ამ ბაზების არსებობის მიუხედავად“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნას არ მოაქვს საქართველოსთვის არანაირი სარგებლობა და მოაქვს მრავალმხრივი ზიანი. შევეცდებით ამ თეზისის დასაბუთებას არსებული მდგომარეობის რამდენსამე პარამეტრთან მიმართებაში.

I. რუსეთის ბაზები, როგორც საქართველოს დამცველი ძალა.

რუსეთის სამხედრო დგომა (присутствие) საქართველოში თავისი დასაწყისიდან (1801 წ.) პირველი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ასრულებდა (სხვა ფუნქციების პარალელურად) ირანისგან და თურქეთისგან საქართველოს დაცვის ფუნქციას. (ლერმონტოვის სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველო ცხოვრობდა „за гранью (русских) дружеских тиков“). ირანისგან საქართველოს დაცვის ფუნქცია თანდათან დაიჩრდილა (ირანის განუხრელი დასუსტების გამო), თურქეთისაგან დაცვისა — ძალაში დარჩა. ამ ფუნქციის ძალაში დარჩენას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რუსეთის ხელქვეით არ ხდებოდა საქართველოს საკუთარი თავდაცვისუნარიანობის განვითარება (პირიქით: საქართველო, სახელმწიფოებრიობის უქონლობის გამო, სტაბილურად იყო ნულოვანი თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობაში), ხოლო ამ ფუნქციის ქრობას ხელს უწყობდა და ახლაც უწყობს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემა, რომლის წყალობითაც სპარსეთის და თურქეთის უმოტივაციო აგრესია საქართველოს მიმართ ნაკლებ შესაძლებელი ხდება.

რეგიონში დასავლეთის ფაქტორის გამოჩენა და გაძლიერება აუქმებს ირანისაგან და თურქეთისაგან რუსეთის მიერ საქართველოს დაცვის ფუნქციას, (რომელიც, თავისი რეალური მოტივაციით, იმთავითვე არა საქართველოს, არამედ საქართველოში რუსეთის პოზიციების დაცვის ფუნქციაა). პირიქით: საქართველოსთან მიმართებაში (ისევე როგორც მსოფლიო პოლიტიკის მრავალ სხვა კვანძთან მიმართებაში) **რუსეთი, თანდათანობით, იქცევა ამ ორი დიდი ისლამური ქვეყნის (პირველ ეტაპზე — თურქეთის) მოკავშირედ საქართველოს, როგორც დასავლეთის პოტენციური (მომავალი) საყრდენის წინააღმდეგ.** ამ მოკავშირეობის პირველი შემთხვევა ისტორიაში არის რუსეთისა და თურქეთის ერთდროული და (ფაქტობრივად) ერთობლივი შეტევა საქართველოზე 1921 წლის თებერვალში. საქართველოს გზით კავკასიაში დასავლეთის შემოსვლის აღკვეთა ამ ორი ქვეყნის ერთობლივი ინტერესი იყო (და არის). ამ ინტერესს გაზრდისა და გამძაფრების ხანგრძლივი პერსპექტივა აქვს.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოში არსებული რუსული ბაზები (მათი შემცირების გამო) დღეს აღარ წარმოადგენს საქართველოს მიმდგომ ტერიტორიებზე განლაგებული თურქული არმიებისათვის გადაულახავ დაბრკოლებას. მდგომარეობა დაბალანსებულია (მაგრამ, ძველებურივით, არ არის რუსეთის სასარგებლოდ გადახრილი) ჩრდილო კავკასიაში და მის ჩრდილოეთით მდგომი რუსული არმიებით, რომლებიც ამიერკავკასიისკენ შეტევისთვის საჭირო გეგმით არიან დისლოცირებულნი. რუსეთის მხარეზეა აგრეთვე განუზომელი უპირატესობა ავიაციაში. მაგრამ რუსული ძალის გამანეიტრალებელია რეგიონში (თურქეთის ჩათვლით) ამერიკული ძალების არსებობის ფაქტორი.

II. რუსეთის ბაზები, როგორც პაჩოგის (ოკუპაციის) საყრდენი

ეს მეორე ფუნქცია ამ ბაზებისათვის ძირითადია. მათი გზით ხორციელდება საქართველოს პყრობა, ისინი არიან რუსეთის ჯერ ძალაუფლების, ამჟამად კი — გავლენის განხორციელების ძირითადი იარაღი საქართველოში. ამ ფუნქციას ისინი ახორციელებენ, როგორც

ა) მუქარა რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლების მსურველთათვის.

ბ) მუქარა საქართველოში რუსეთისათვის არასასურველი ხელისუფლების შექმნის მსურველთათვის.

გ) „სახურავი“ საიდუმლო სამსახურებისათვის, რომელთათვის ანონიმურობის წყალობით — საქართველოში ყველა სახისა და მასშტაბის დესტაბილიზაციის, სოციალური და ეთნიკური ომის, პოლიტიკური ამბოხების, სამოქალაქო ომის, სეპარატისტული ან „სეპარატისტული“ მოძრაობების ორგანიზების მუდმივი უნარი აქვთ. რაიმე საკმარისი საპირწონე, საქართველოს ან სხვა უცხო ქვეყნის (ქვეყნების) ქმედუნარიან სპეცსამსახურთა სახით, რუსეთის ამ სპეცსამსახურებს დღეს არ აქვთ.

III. რუსეთის ბაზები, როგორც შეტევითი ომის საყრდენი

ეს ფუნქცია რუსეთის სამხედრო დგომისათვის საქართველოში (ამიერკავკასიაში) თავის არსებობას, 1801 წლიდან დღემდე, მხოლოდ ერთხელ წყვეტს — სსრკ-ს არსებობის ბოლო წლებიდან დღემდე, ისიც არასრულად (არასრულად იმდენად, რამდენადაც რუსეთის ბაზები გამოიყენება ტერორისტების სამზადებლად მესამე ქვეყნებში მუშაობისათვის) და „დროებით“ (ანუ, რუსეთის მესვეურთა წარმოდგენაში, მხოლოდ მანამდე, სანამ რეგიონში ძალთა განლაგება რუსეთის სასარგებლოდ არ არის). ამ ფუნქციაში შედის როგორც ტერიტორიის გაფართოების მცდელობა სამხრეთისაკენ, ისე ამ რეგიონის ქვეყნების (ნავთობიანი არაბული ქვეყნების ჩათვლით) ყოლა პოტენციური დარტყმის მუქარის ქვეშ. სადღეისოდ ამ ფუნქციის ზემოხსენებულ ნაწილობრივ შენარჩუნებას წარმოადგენს ამ ბაზების გამოყენებაც ომისათვის ჩეჩნეთის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა ჩეჩნეთში პირველი ომის დროს (ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, რამდენადაც ვიცით, ეს არ მომხდარა).

საქართველოში არსებული რუსული ბაზები შეიძლებოდა გამოყენებულიყო (და დღესაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას) დარტყმისთვის შორეულ სტრატეგიულ მიზნებზეც.

დღესდღეობით ეს ბაზები საყრდენია რუსეთის შესაძლო პირდაპირი ღია სამხედრო მოქმედებისათვის და მუდმივი ფარული მოქმედებისათვის შუა აზიისკენ დასავლური ძალების მოძრაობის გადასაკეტად (ანუ დასავლეთ-აღმოსავლეთის ამიერკავკასიური დერეფნის ფუნქციების ჩასაშლელად). ამ უკანასკნელი მიზნის განხორციელებისთვის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმაა საქართველოს ტერიტორიის გადაქცევა გაუვალ და ცხოვრებისთვის გამოუსადეგარ მიზნად — რადიაციულ უდაბნოდ, ქიმიურ უდაბნოდ, ჩაუქრობელი ეპიდემიების ზონად და ა.შ. ამ უკანასკნელ ტაქტიკას (ან, შესაძლოა, სტრატეგიას) მით უფრო მიეცემა აზრი რუსეთის გლობალურ ინტერესთა თვალსაზრისით, რაც უფრო გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება საქართველოში (ამიერკავკასიაში) რუსეთის დიდმასშტაბიანი სამხედრო ძალის ყოლა, რომელიც თავის აქ ყოფნითვე შეუძლებელს გახდის ამიერკავკასიის გამოყენებას შუა აზიასთან კავშირისათვის.

IV. რუსეთის ბაზები, როგორც პოლიტიკური ფაქტორი

რუსეთის ბაზების საქართველოში არსებობის ფაქტს ორი ძირითადი პოლიტიკური შედეგი აქვს.

პირველი. მათი არსებობა დემონსტრაციულად ადასტურებს იმას, რომ საქართველო დღეს რუსეთის სამხედრო სისტემის ერთ-ერთი ელემენტია და რომ, მიუხედავად საქართველოს დასავლური კავშირების განვითარებისა, იგი, პოტენციაში, რუსეთის მოკავშირეა. საქართველოს ეს მდგომარეობა დასავლურ დემოკრატიებს უბიძგებს იქითკენ, რომ არ შეუწყონ ხელი საქართველოს მკვეთრ ეკონომიკურ აღმავლობას, მასში მეტნაკლებად ავტონომიური სამხედრო მანქანის შექმნას, მის მიერ სტრატეგიულად აუცილებელი სასურსათო, სამრეწველო, ენერგეტიკული ბაზის შექმნას, მისი იურისდიქციის მყარსა და უპრობლემო გავრცელებას მის მთელ ტერიტორიაზე, მასში ფართო და მაღალხარისხოვანი განათლების ორგანიზებას, მასში ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, ზოგადად — მის ჩამოყალიბებას შედარებით ძლიერ, მოკავშირეობისუნარიან და თავდაცვისუნარიან სახელმწიფოდ. ამის საპირისპირო პოლიტიკა — პოლიტიკა ყველა ამ სფეროში ხელის შეწყობისა — განკუთვნილია მხოლოდ მოკავშირეებისათვის, მაგრამ არა ყოფილი „ბოროტების იმპერიის“ სატელიტებისათვის. რუსეთის ბაზების ანულირებამდე (ისევე, როგორც „ესენგედან“ საქართველოს გამოსვლამდე) საქართველოს მიმართ დასავლეთის ამ პოლიტიკის უკეთესობისკენ შეცვლას, პრაქტიკულად, ნულოვანი ალბათობა აქვს.

მეორე. საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობა საქართველოს ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ უარი უთხრას სხვა, მეტ-ნაკლებად მეგობარსა და კეთილმეზობელ ქვეყნებს, რომელთაც ძლიერი ტენდენცია აქვთ, რომ საქართველოში თავისთვის, ამა თუ იმ ფორმით, სამხედრო დასაყრდენი მოიპოვონ (ჩაატარონ აეროდრომის მოდერნიზაცია მისი ერთობლივი გამოყენების პირობით, ასევე გააფართოონ პორტი, შექმნან რადიოდაზვერვის ბაზა საკუთარი დაცვით, ითხოვონ საკუთარი დაცვა მილსადენებისათვის და ა.შ.). რუსეთის ბაზების გაყვანამდე საქართველოს ვერ ექნება საშუალება თავის ტერიტორიაზე განახორციელოს საკუთარ სამხედრო შესაძლებლობათა ერთპიროვნული საკუთარი კონტროლის რეჟიმი.

V. რუსეთის ბაზები, როგორც მასობრივ უგედურებათა პოტენციური წყარო

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია ითვალისწინებდეს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიოლოგიური, ქიმიური, ეკოლოგიური და სხვა სახის დივერსიების ორგანიზაციისათვის, აგრეთვე გარედან ორგანიზებულ დივერსიათა (მაგ. სეისმურის) შედეგების საქართველოს ტერიტორიაზე დაკვირვებისათვის გარეთ წარმოებულ სათანადო მოქმედებათა კორექტირების მიზნით. აღნიშნული (თეორიული) შესაძლებლობა გამომდინარეობს რუსეთის ობიექტური სტრატეგიული დაინტერესებიდან იმით, რომ ვერ იფუნქციონიროს დასავლეთ-აღმოსავლეთის ზემოხსენებულმა „დერეფანმა“ საქართველოს ტერიტორიაზე (იხ. ზემოთ).

VI. რუსეთის ბაზები, როგორც საქართველოს პასუხისგებათა წყარო

რუსეთის ბაზები შესაძლებელია წყარო გახდეს საქართველოს სადღეისო და სამომავლო პასუხისმგებლობებისა რამდენიმე სხვადასხვა სახით.

პირველი. საქართველოს ტერიტორიიდან, რუსული ბაზიდან მიყენებული დარტყმა (მაგ., სარაკეტო დარტყმა) იწვევს საპასუხო დარტყმას მესამე ქვეყნიდან.

მეორე. საქართველოს ტერიტორიიდან მიყენებული დარტყმა რუსეთის ხელთ მყოფი კოლონიური ქვეყნისათვის (მაგ., ჩეჩნეთისათვის) იწვევს საქართველოს ისტორიულ პასუხისმგებლობას იმ ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

მესამე. რუსეთის ბაზაზე, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტების მომზადება მესამე ქვეყნის წინაშე.

VII. რუსეთის ბაზების არსებობის ფსიქოლოგიური ეფექტი

საქართველოში რუსეთის ბაზების დგომა იწვევს მოსახლეობაში და, აქედან გამომდინარე, არჩევით სახელისუფლებო კრებულებში (პარლამენტის ჩათვლით) ფსიქოლოგიურ მზაობას იმისთვის, რომ ნორმალურად ჩათვალონ და, შესაბამისად, სისტემატურად და სტაბილურად დაუშვან ხოლმე ის ვითარება, რომ საქართველოში სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალები იმყოფება და მოქმედების ავტონომიურობით სარგებლობს. ასეთი ფსიქოლოგიური მზაობა სახიფათოა წინა პუნქტში („VI“) დასახელებულ გარემოებათა გამო.

როგორც ზემოჩამოთვლილი გარემოებებიდან ჩანს, საქართველოში რუსეთის ბაზების დგომას საქართველოს ინტერესთა თვალსაზრისით არანაირი დადებითი ფუნქცია არა აქვს და მრავალი უარყოფითი ფუნქცია აქვს. ამიტომ მათი გაყვანა საქართველოდან დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. არსებობს საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილება, რომლის თანახმადაც ამ ბაზების მთლიანი გაყვანა საქართველოდან უნდა დამთავრებულიყო 1995 წლის 31 დეკემბრამდე, მაგრამ პარლამენტის ეს დადენილება დღემდე უგულებელყოფილია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პრეზიდენტის ჩათვლით.

საქართველოდან „მემშვიდობე“ უცხო სამხედრო მოსამსახურეების გაყვანის აუცილებლობა

I. „მემშვიდობე“ უცხო შეიარაღებული ძალების ფუნქციობის პრინციპული მხარე

საქართველოში „მემშვიდობე“ შეიარაღებული ძალები ორგან ფუნქციონირებენ: აფხაზეთში და ცხინვალის ზონაში. მათი ფუნქციები და მათი მანდატი ამ ორ ადგილას სხვადასხვაა, მაგრამ პრინციპი, რომელსაც მათი ეს სტატუსი ემყარება, ერთია: იგულისხმება, რომ ადგილზე არსებობს სისხლისღვრის რეალური საშიშროება, რომელსაც ადგილზე არსებული პოლიტიკური, ადმინისტრაციული, პოლიტიკური და სხვა სახის ძალები გარანტირებულად ვერ აკონტროლებენ, რის გამოც საჭირო ხდება — არა კაცობრიობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესებში, არამედ თვით ადგილობრივ მაცხოვრებელთა და ადგილობრივ ძალთა ინტერესებში, — შეიარაღებული ჩარევა გარედან, რომელიც (ეს ჩარევა) ცეცხლის გახსნის უფლებას მოიცავს. ადგილობრივ ფაქტორთა, მათ შორის — ადგილობრივ შეიარაღებულ ძალთა უძლურება, რომ შესაძლოა სისხლისღვრა გარანტირებულად აღკვეთონ, გულისხმობს

ა) ან იმას, რომ ორი ან რამდენიმე ადგილობრივი სუვერენული სახელმწიფო, რომელთაგანაც არც ერთს გადამწყვეტი უპირატესობა არა აქვს, ვერ თანხმდება კომპრომისზე,

ბ) ან იმას, რომ ერთ სუვერენულ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს) მეორეზე გადამწყვეტი უპირატესობა აქვს და ამ უპირატესობას უსამართლოდ, მაშასადამე — ასაკრძალი წესით იყენებს,

გ) ან იმას, რომ ის ერთი სუვერენული სახელმწიფო, რომლის შიგნითაც ფუნქციობენ „მემშვიდობე“ ძალები, თავის ტერიტორიაზე სისხლისღვრის გარანტირებული აღკვეთის უნარმოკლებულია (რაც მისი სახელმწიფოებრიობის არასრულყოფილებაზე მეტყველებს),

დ) ან იმას, რომ ის ერთი სუვერენული სახელმწიფო, რომლის შიგნითაც ფუნქციობენ „მემშვიდობე“ ძალები, (დანარჩენი მსოფლიოსთვის ან მესამე სახელმწიფოთა ჯგუფისათვის) მიუღებელ (უსამართლო, არაჰუმანურ, უფლებადაცვითი ნორმებით აკრძალულ...) კურსს ატარებს შექმნილი სიტუაციის (ძალით) დარეგულირების საქმეში, რაც, ისევ და ისევ, ამ სახელმწიფოს არასრულფასოვნების აღიარების ტოლფასია.

„ა)“ შემთხვევაში „მემშვიდობე“ ძალთა მოქმედება მათი განლაგების ზონის სახელმწიფოებისთვის არც ბრალის დამდები, არც შეურაცხმყოფელი არაა: მათი მოქმედების ფაქტი მხოლოდ მათ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) ხელმოცარვის აღიარებაა პოლიტიკური შემოქმედებითი მცდელობის საქმეში, რომ კომპრომისი ნახონ.

„ბ)“ შემთხვევაში „მემშვიდობე“ ძალების მოქმედება ბრალის დამდებია იმ სახელმწიფოსთვის, რომლის უსამართლო მოქმედების ბლოკირებაც მათს ამოცანას შეადგენს.

„გ)“ შემთხვევაში „მემშვიდობე“ ძალთა მოქმედება შეურაცხმყოფელია იმ სუვერენული სახელმწიფოსათვის, სადაც ისინი მოქმედებენ.

„დ)“ შემთხვევაში „მემშვიდობე“ ძალების მოქმედება ბრალის დამდებია იმ სუვერენული სახელმწიფოსათვის, სადაც ისინი მოქმედებენ, და ამავე დროს შეურაცხმყოფელია მისთვის, რამდენადაც მის შინაგან საქმეებში ჩარევას და (ნავარაუდევი) დანაშაულებრივი მოქმედებისაგან მის იძულებითს შეკავებას ნიშნავს.

საქართველოში „უცხო „მემშვიდობეთა“ მოქმედება არ ეკუთვნის არც „ა)“, არც „ბ)“ შემთხვევას, არამედ „გ)“-ს ან „დ)“-ს, ან ამ უკანასკნელთა კომბინაციას. („საქართველო პრობლემას ვერ ერევა“ და, ამავე დროს, „საქართველოს წარუმატებელი მცდელობა, რომ პრობლემა გადაჭრას, მიმართულია უსამართლო, არაჰუმანური, უფლებადაცვით ნორმებთან არათავსებადი გზით“). მაშასადამე, იგი ან შეურაცხმყოფელია, ან შეურაცხმყოფელი და ბრალის დამდებია ერთსა და იმავე დროს.

თქმულიდან ცალსახად გამომდინარეობს: უცხო „მემშვიდობე“ ძალების საქართველოში ჩაყენებაზე თანხმობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, უფრო მეტიც — მათი საქართველოში ჩაყენების ინიციატივა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, პრინციპულად საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგოდ მიმართული აქტია.

II. „მემშვიდობე“ უცხო ძალთა ფუნქციობის პოლიტიკური მხარე

სამშვიდობო აქციის პოლიტიკურ რაობას განსაზღვრავს, ჯერ ერთი, ის, თუ ვისი და ვისი შეიარაღებული შეჯახების აღკვეთაა მათი ამოცანა, მეორეც, ის, თუ ვის ეკუთვნიან და, ამგვარად, ვისი სახელით ახორციელებენ თავის სამშვიდობო მანდატს. საქართველოში დღეს მყოფი „მემშვიდობე“ ძალების მანდატი მდგომარეობს შეიარაღებული შეჯახების არდაშვებაში კანონიერ შეიარაღებულ ძალას (საქართველოს სახელმწიფოს ძალას) და უკანონო შეიარაღებულ ძალას (სეპარატისტულ შეიარაღებულ ძალას) შორის; ანუ, ერთის მხრივ, ეს მანდატი გულისხმობს შეიარაღებული ძალით იმ მდგომარეობის დასტაბილებას, როდესაც საქართველოში კანონსაწინააღმდეგო შეიარაღებული ძალა ჯრსებობს, მეორე მხრივ იგი გულისხმობს ამ უკანონო შეიარაღებული ძალის უკან მდგომი პოლიტიკური ერთეულებისათვის — სეპარატისტული არააღიარებული „ხელისუფლებებისათვის“ სტატუსის აღიარებას, რომელიც (ეს სტატუსი), როგორც მინიმუმი, საშეთანხმებო ურთიერთობებში მხარედ ყოფნის უფლებას და შესაძლებლობას გულისხმობს. ამ მეორე მომენტისათვის უკანონო პოლიტიკური ჯგუფებისათვის გარკვეული სტატუსის (იმპლიციტურად) აღიარების ფაქტისათვის მათზე „სამშვიდობო“ აქციის გავრცელების შედეგად — მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მსოფლიოში არსებობს „სამშვიდობო“ მისიათა შემთხვევები სუვერენული ქვეყნის ხელისუფლებასა და სეპარატისტულ ძალას შორის შეიარაღებული შეტაკების აღსაკვეთად, მაგრამ არ არსებობს შემთხვევა ასეთი მისიის გამოყენებისა ხელისუფლებასა და შეიარაღებულ არაპოლიტიკურ ბანდას შორის შეიარაღებული შეტაკების არდასაშვებად. რაც შეეხება სამშვიდობო მისიის განმახორციელებელ სუბიექტს, იგი ორსავე შემთხვევაში (აფხაზეთშიც და შიდა ქართლშიც) არის რუსეთის შეიარაღებული ძალა, ანუ იმ სახელმწიფოს ძალა, რომელმაც გამოუცხადებელი, მაგრამ დაუფარავი ომი აწარმოა საქართველოს წინააღმდეგ ორსავე ამ ტერიტორიაზე და ამჟამადაც განაგრძობს აქტიურ მრავალმხრივ შეტევას საქართველოზე მასში ამა თუ იმ ფორმით გაბატონების მიზნით. ამგვარად, ორსავე შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებულია საქართველოს აქტიურად აგრესიული მტრის — რუსეთის — შეიარაღებული ძალების დგომა საქართველოში „სამშვიდობო“ მანდატით. რაც საქართველოს ინტერესების პირდაპირ საწინააღმდეგო ნაბიჯს წარმოადგენს.

ცხინვალის ზონაში (შიდა ქართლში) „მემშვიდობე“ შეიარაღებულ ძალაში, რომელსაც აქ „სამმხრივი“ (ქართულ-ჩრდილოოსურ-რუსული) სამშვიდობო ძალის სახელწოდება აქვს, მონაწილეობს რუსეთის ფედერაციის სუბიექტის — „ჩრდილო ოსეთის“ — შეიარაღებული ძალა. ეს შეიარაღებული ძალა, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით, არ არსებობს, მაგრამ პოლიტიკური სუბიექტი — „ჩრდილო ოსეთი-ალანია“ — ლეგიტიმურად არსებობს და, მაშასადამე, „მისი“ შეიარაღებული ძალის მონაწილეობით სამშვიდობო ოპერაციაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე (იმპლიციტურად) აღიარებულია მისი უფლება, რომ ტერიტორიაზე თავისი ინტერესები ჰქონდეს (რამდენადაც „სამმხრივი სამშვიდობო ძალის“ სტრუქტურა ასეთია: საქართველო ანუ დაინტერესებული მხარე, ჩრდილო ოსეთი-ალანია ანუ დაინტერესებული მხარე, რუსეთი ანუ ობიექტური არბიტრი). ამგვარად, შიდა ქართლი გვევლინება როგორც ერთგვარი სადავო ტერიტორია და კომპრომისის საძებარი ტერიტორია საქართველოსა და ჩრდილო ოსეთ-ალანიას, ანუ რუსეთის ერთ-ერთ ფედერაციულ სუბიექტს შორის.

შეთანხმების (24.VI.1992) საქართველოსათვის წამგებიან ხასიათს აძლიერებს ის გარემოება, რომ „მემშვიდობე“ სამმხრივ ძალთა მოქმედების არეალად განსაზღვრულია არა კონფლიქტის რეალური ადგილი (ცხინვალისა და ყოფ. ზნაურის რაიონები), არამედ ყოფილი და მაშინ უკვე გაუქმებული „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ მთლიანად, ანუ ახალგორისა და ჯავის რაიონების მითვლით, სადაც არანაირ შეიარაღებულ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია, რაც ისევ და ისევ, იმპლიციტურად ამ პოლიტიკურ-ტერიტორიული ყოფილი ერთეულის ისევ არსებულად აღიარებას ნიშნავს. შეთანხმების მომენტიც — ხელმოწერა — ქართული ხელისუფლების (ე. შევარდნაძე) სახელმწიფო ღალატის ერთ-ერთი ელემენტია.

III. „მემშვიდობე“ უცხო ძალის ფუნქციობის იურიდიული მხარე

აფხაზეთში დგანან რუსეთის „მემშვიდობე“ ძალები გაეროს მანდატით, რომელიც შესაბამის უფლებას ანიჭებს „ესენგეს“, „ესენგე“ კი — რუსეთს (რითიც ირღვევა პრინციპი, რომ „მემშვიდობედ“ არ შეიძლება გამოიყენებოდეს მეზობელი ქვეყნის, მაშასადამე — მოცემულ ქვეყანაში საკუთარი ინტერესების მქონე ქვეყნის ძალა. ამ უფლებამოსილების მინიჭებაში უგულებელყოფილია რუსეთის მიერ საქართველოს (აფხაზეთის) ტერიტორიაზე საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული აგრესიული შეტევითი ომის (1992-1993) და შემდგომი უწყვეტი აგრესიული მოქმედების ფაქტი. ამ ორი დიდი დარღვევის გარდა, რომლებიც შეიძლება დაკვალიფიცირებულ იქნან როგორც ხელისუფლების მხრიდან ჩადენილი პირდაპირი სახელმწიფო ღალატის ფაქტები, არსებობს მესამეც — „მემშვიდობეთა“ ჩაყენება ენგურის მარცხენა სანაპიროზე (სადაც კონფლიქტი არ ყოფილა) და გალის რაიონში, სადაც მხოლოდ ქართველი მოსახლეობაა, ანუ არა კომბატანტ მხარეებს შორის, არამედ ერთ-ერთი მათგანის (ქართველის) განუყოფელი გაბატონებულობის ტერიტორიაზე მისი კონტროლის მიზნით. აფხაზეთში მოქმედი „მემშვიდობეების“ მანდატი მკაცრადაა რეგლამენტირებული გაეროს დოკუმენტით: იგი წყდება მაშინათვე, როგორც კი ქართული ან აფხაზური მხარე მის გაგრძელებაზე უარს იტყვის. რუსეთის მხრიდან გასვლაზე შესაძლო უარის თქმა იქნება ამ შეთანხმების დარღვევა, და არა მოქმედება მის ფარგლებში.

შიდა ქართლში შევარდნაძის მიერ დადებულ 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმებას ასეთი მკაფიო იურიდიული ფორმა არა აქვს. მას არა აქვს ვადა და არაა დაფიქსირებული მისი შეწყვეტის პირობები და პროცედურა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი შესაძლებლად თვლის ილაპარაკოს თავის „ინტერესებზე“ შიდა ქართლში (რომელთაც ის, ნათელია, ვერ აკონკრეტებს), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსეთი შეეცდება არ დაეთანხმოს ამ შეთანხმების მოქმედობის შეწყვეტას, . როცა საქართველო ამას მოითხოვს. ამ (24.VI.1992) შეთანხმების ხელმოწერა შევარდნაძის მიერ აგრეთვე სახელმწიფო ღალატის ერთ-ერთი მკვეთრი ეპიზოდია.

1992 წ. 24.VI. შეთანხმების ზემოხსენებული იურიდიული პროფილიდან გამომდინარე და რუსეთის ზემოხსენებული აგრესიული პოზიციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ ამ ხელშეკრულების შედეგთა ლიკვიდაციის პროცესში აუცილებელი გახდეს იმ ფაქტის დამოწმება, რომ შეთანხმების ხელმოწერის დროს შევარდნაძე იყო არალეგიტიმური მმართველი ხროვის მეთაური — შეიარაღებული გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მისული უკანონო „სახელმწიფო საბჭოს“ თავმჯდომარე.

IV. „მემშვიდობე“ უცხო ძალთა ფუნქციობის ფაქტობრივი მხარე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსული და რუსულოსური „სამშვიდობო“ შეიარაღებული ძალები არანაირი ზომით არ ასრულებენ ნეიტრალური ძალის ფუნქციას, არამედ მოქმედებენ მხოლოდ სეპარატისტული (აფხაზური და ოსური) რეჟიმების სასარგებლოდ და ქართველი მოსახლეობის საწინააღმდეგოდ. სახელდობრ, აფხაზეთში გაეროს მანდატით მოქმედი რუსული შეიარაღებული ძალები

ა) ახორციელებენ კოდორის ხეობაში თავისი საკონტროლო ტერიტორიის გაფართოების მუდმივ შეიარაღებულ მცდელობებს.

ბ) იცავენ აფხაზური დამსჯელ-მრბეველი რაზმების გადაადგილებას და მოქმედებას გალის ზონაში.

გ) საყრდენს წარმოადგენენ (და ამას დემონსტრაციულად ხაზს უსვამენ თავისი მოქმედებით) დამსჯელ-მრბეველი აფხაზური რაზმებისათვის, რომელთაც 1993 წლიდან დღემდე გალის რაიონში 2000-ზე მეტი ქართველი მშვიდობიანი მოსახლე მოკლეს.

ცხინვალის რეგიონში „სამმხრივი“ „სამშვიდობო“ ძალების რუსული და ოსური ნაწილი

ა) წარმოადგენენ შეიარაღებულ საყრდენს უკანონო (თვითმარქვია) ოსური სეპარატისტული რეჟიმისთვის;

ბ) იცავენ მრბეველსა და მკვლელ ოსურ შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც დროდადრო ახორციელებენ ადგილობრივი ქართველების მკვლელობებს;

გ) ფარავენ და ხელს უწყობენ საქართველოში რუსეთიდან ნარკოტიკების მასობრივ შემოსვლას;

დ) ფარავენ და ხელს უწყობენ საქართველოში რუსეთიდან კონტრაბანდის შემოსვლას, რაც საქართველოს ეკონომიკას კატასტროფულ ზიანს აყენებს.

V. დასკვნა

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს

ა) აფხაზეთში სამოქმედოდ რუსეთის „მემშვიდობე“ შეიარაღებული ძალების მანდატის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

ბ) ცხინვალის ზონაში „სამმხრივი (ქართულ-რუსულ-ოსური) „მემშვიდობე“ ძალების მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. მათ ჩანაცვლებას პოლიციური ძალებით, რომელიც, სასურველია, მონაწილეობდნენ მკაცრი ინდივიდუალური წესით შერჩეული ოსებიც ამ ზონიდან ან საქართველოს სხვა ადგილებიდან.

საქართველოს ეკონომიკური რესტავრაცია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების დღესდღეობით მოაზრებული მიზანი-მაქსიმუმი

როგორი უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია (დღევანდელი კრიზისის დაძლევის პროცესში და შემდგომში)

I. საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი კატასტროფის ობიექტური წინაპირობები

საქართველოს სოციალიზმის-დროინდელი ეკონომიკის სისუსტეები მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში მისი მომავალი ჩართვის შესაძლებლობის თვალსაზრისით მდგომარეობდა შემდეგში:

1. ეს ეკონომიკა არ იყო გათვლილი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისათვის საბრძოლველად,

2. ეს ეკონომიკა არ იყო გათვლილი საბჭოთა კავშირის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის საბრძოლველად (საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ პოლიტიკაში ეს კონკურენტუნარიანობა, როგორც მიზანი, არც არსებობდა).

3. ამ ეკონომიკის სტრუქტურაში შეგნებულად ჩადებული იყო პოლიტიკური ანტიეკონომიკური მიზანი: წარმოების არადამოუკიდებლობა, ანუ წარმოების ერთსა და იმავე ციკლში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილების მონაწილეობის ხელოვნური საჭიროების შექმნა იმპერიის მდგრადობის შექმნის მიზნით.

4. ამავე იმპერიული მიზნით საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში მიზანმიმართულად დატოვებული იყო რიგი ცალკეული ცარიელი ადგილები წარმოების ისეთ სფეროთა (დარგთა) არ არსებობის ან მკვეთრად უკმარისი არსებობის სახით, რომლებიც საარსებო საჭიროებებს ემსახურება (მაგ. საქართველოს მოსახლეობა მთლიანად შემოტანილი მარცვლეულით იკვებებოდა, თითქმის მთლიანად შემოტანილ კარაქს ჭამდა და ა.შ., თვით საქართველოში კი ყვაოდა საექსპორტო მონოკულტურების წარმოება.

5. (ფსიქოლოგიური და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფაქტორი) რამდენადაც საქართველოში ინდუსტრიის შექმნას და სოფლის მეურნეობაში ცალკეული დარგების დიდმასშტაბიან განვითარებას რუსეთის საზოგადოებრიობა თვლიდა საბჭოთა კავშირის (ანუ რუსეთის) დახმარების ნაყოფად, მას მიაჩნდა, რომ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის შემთხვევაში სამართლიანია და მიზანშეწონილია, მოხდეს მთელი ამ ეკონომიკური მიკროსტრუქტურის დემონტაჟი, საქართველო დარჩეს ისევე კავისა და ბარის ტექნოლოგიურ დონეზე, როგორც საბჭოთა პერიოდამდე იყო.

II. საქართველოს ეკონომიკის დანგრევის რეალური (მიზანდასახული და სტიქიური) მეძანიზმები

პროცესთა შეუიარაღებელი თვალით დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ საქართველოს ეკონომიკის ნგრევა 1992 წლიდან დღემდე (იგი დღესაც გრძელდება) არის ძირითადად არა არაკომპეტენტურობის ან კორუფციის შედეგი (ამ ორი ფაქტორის ძალიან დიდი ძალის მიუხედავად), არამედ მიზანმიმართული დივერსიის შედეგი: შევარდნაძე და მისი გუნდი, ასრულებენ რა უცხო ძალების (პირველ რიგში — რუსეთის დავალებას, განზრახ ანგრევენ საქართველოს ეკონომიკას, რათა

ა) დაასუსტონ სახელმწიფო და მისი მდგომარეობა უახლოეს მომავალში „ვერშემდგარი სახელმწიფოს (FAILED STATE) სტატუსამდე მიიყვანონ.

ბ) ეკონომიკური სიდუხჭირით აიძულონ მოსახლეობა, რომ რუსული იმპერია და კომუნისტური ბიუროკრატია (რაც, ჯამში, საბჭოთა წყობილებას შეადგენს) მოენატროს და საბჭოთა კავშირის აღდგენა ისურვოს

გ) შეუქმნან პირობები არაქართველი მოსახლეობის კომპაქტური დასახლების რაიონებს, რომ გაერიდონ კატასტროფის მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ანუ შესაბამისი ტერიტორიის სხვა ქვეყნის შემადგენლობაში გადასვლა ითხოვონ

ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა რამდენიმე სახით ქმედებები ხელისუფლების მხრიდან

1. უგულებელყოფილ (უარყოფილ) იქნა სახელმწიფოს ხელთ არსებული საწარმოო საშუალებების მართვის ვადიანი პრივატიზაცია (კონკურსის ან აუქციონის წესით), როგორც მათი მართვის ოპტიმიზაციის მეთოდი, და წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების (დროებით) შენარჩუნების პარალელურად კერძო სექტორის ბუნებრივი განვითარებისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო პირობების შექმნის მეთოდი (იმ ანგარიშით, რომ კერძო სექტორი თანდათანობით ბუნებრივად ჩანთქამს სახელმწიფო სექტორის რაციონალურად დიდ ნაწილს). ნაცვლად ამისა, თვითმიზნად იქნა დასახული (და განხორციელებული) საწარმოთა თითქმის ტოტალური პრივატიზაცია სიმულირებული პრინციპით „ყველაფერი, რაც კერძოა, კარგად იმუშავებს“, რომლის უკანაც რეალური დივერსიული გამჭოლი მიზანი იდგა (და დგას). მუქთი „მიპრივატების“ მიზნით ფართოდ გაიშალა საწარმოთა წინასწარ ხელოვნური გაკოტრების პრაქტიკა (როგორც წესი — დირექტორთა მიერ).

2. პრივატიზაცია მოხდა (და ხდება) არარეალისტურ, „ჩალის“ ფასად (რა თქმა უნდა, კორუფციის და სახელმწიფოსმიერი ზეწოლის თითქმის ტოტალური ან ტოტალური მონაწილეობით).

3. შეიქმნა მახინჯი საგადასახადო სისტემა, რომელიც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის წარმოების (პირველ რიგში — მრეწველობის ფუნქციონირებას).

4. შეიქმნა და ტოტალურად გაბატონდა მაფიური მონოპოლიზმი სახელმწიფო ორგანოების და სახელმწიფო მოხელეების ფრთის („სახურავების“) ქვეშ.

5. ხელოვნურად ხელი შეეწყო სამრეწველო ჩარხებისა და დანადგარების ჯართად გაყიდვის პრაქტიკას, ხე-ტყის დაუბრკოლებლად გატანის პრაქტიკას, ფერადი ჯართის ტოტალურ გატანას ჩალის ფასად და ა.შ.

შენიშვნა: რიტორიკულ კითხვას, რომელიც ხშირად ისმის საზოგადოებაში — „ქურდაცაცა ხელისუფალი რომელი ეკონომიკიდან ამოიღებს მეტ ფულს — მომუშავედან თუ გაჩერებულიდან? რა თქმა უნდა, მომუშავედან. მაშ არის თუ არა ცხადი, რომ შევარდნაძის ხელისუფლება, რომელიც საწარმოების ჯართად გაყიდვას უწყობს ხელს, ფულზე კი არ ფიქრობს, არამედ პირველ რიგში ნგრევაზე? იგი ჯერ დივერსანტია და მხოლოდ ამის შემდეგ — ქურდი — შევარდნაძის მომხრეთა მხრიდან ასეთი პასუხი ეცემა ხოლმე: „იმათ, ვისაც ეს საწარმოები ხელში უვარდებათ, წარმოება არ იციან. მათთავისი ახალი საკუთრებიდან ფულის ამოღება მხოლოდ მისი ჯართად გაყიდვით შეუძლიათ“. როგორც ჩანს, ნამდვილი მდგომარეობა ასეთია: არიან ისეთი პოტენციური მყიდველნიც, რომელთაც წარმოების ამუშავება ძალუძთ, არიან ისეთებიც, ვისაც მხოლოდ მისი ჯართად გაყიდვა შეუძლიათ. ხელისუფლება ხელს უწყობს წარმოების შეძენას მეორეთა მიერ, მაგრამ არა პირველთა მიერ.

6. ფინანსური მაქინაციებით ოპტიმალური პირობები შეიქმნა ეროვნული ფულის ინფლაციაზე თამაშისათვის (დიდი სესხების აღებისათვის ამ ვალუტის მოცემული კურსის პირობებში და მათი „დაბრუნება“ მნიშვნელოვნად დაცემული კურსის პირობებში), რაც, ერთის მხრივ, „შინაურთა“ გამდიდრების საშუალებაა, მეორეს მხრივ — ფინანსური დივერსიის განხორციელებისა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

7. ხელისუფლებამ აიღო დიდი რაოდენობით საგარეო ვალები და ეს თანხები მიითვისა. ამ ვალების მომსახურება მძიმე ტვირთად ადევს სახელმწიფოს და დიდი ფაქტორია მისი ეკონომიკური კატასტროფის ხელშესაწყობად.

8. სახელმწიფოში გაბატონებულა ტოტალური (ყოვლის მომცველი) კორუფცია. მისი ძირითადი ფსიქოლოგიური წყაროა ის კორუფცია, რომელიც ყოფ. საბჭოთა კავშირში ყვაოდა სოციალიზმისდროინდელი „ჯოხის დისციპლინის“ შესუსტების მომენტიდანვე (1953 და აქეთ), ხოლო მისი განმახორციელებელი ფენის ზედა ეშელონია კომუნისტურ-კომკავშირული პარტოკრატია და მისი წრე — ყოფილი საბჭოთა პარტიული და კომკავშირული ფუნქციონერები.

9. ეკონომიკურ დივერსიასთან ერთად ტარდება (განსაკუთრებით — ბოლო 2-3 წელიწადში, მზარდი ტემპით) საქართველოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ობიექტების რუსებისათვის გადაცემის ოპერაციები. ყველაზე მასშტაბური ამგვართა შორის არის ელექტროენერგიის წარმოებისა და დისტრიბუციის სისტემის გადაცემა რუსეთის კომპანიებისათვის, რაზეც, ხელოვნური „შუალედური საფეხურის“ სახით, მონაწილეობდა ამერიკული ფირმა AES.

საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა, გეოგრაფიული შესაძლებლობებისა, ადამიანური რესურსებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს შემდეგი:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობა უნდა ძირითადად აკმაყოფილებდეს საქართველოს მოსახლეობას საარსებოდ აუცილებელი საკვები პროდუქტებით (მარცვლეულით, ბოსტნეულით, ხორცით, რძის პროდუქტებით, ხილით). ამ პროდუქციის წარმოებაში საქართველო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელი იმპორტისაგან (საწვავის, სასუქების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის...). მაქსიმალურად მცირე უნდა იყოს ამ მიზნებისათვის სახელმწიფოდან მყარი ვალუტის გადენა. მინიმალური უნდა იყოს დროებითი იზოლაციის შემთხვევაში შიმშილის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების პარალიზაციის საშიშროება.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის გამონაკლისი დარგები (მაღალხარისხოვანი ღვინოები, ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხოვანი ხილი და ბოსტნეული, მათი კონსერვი, სამკურნალო მცენარეები...) ორიენტირებულნი უნდა იყვნენ მსოფლიო ბაზარზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე.

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხმარება მოსახლეობის მიერ, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, უნდა აღემატებოდეს მინიმალურ საარსებო დონეს (იხ. ზემოთ), როგორც საკუთარი წარმოების ხარჯზე, ისე იმპორტის ხარჯზე, მაგრამ იმგვარად, რომ არ ექმნებოდეს საშიშროება გარანტირებული საარსებო მინიმუმის არსებობას საკუთარი წარმოების ბაზაზე.

4. საქართველოს მრეწველობა უნდა შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებდეს საქართველოს შიდა ბაზარს როგორც ნაწარმის, ისე მომსახურების მხრივ, რათა მინიმალური იყოს მყარი ვალუტის გადინება სახელმწიფოს გარეთ.

5. საქართველოს მრეწველობის გამონაკლისი დარგები და გამონაკლისი საწარმოები უნდა ორიენტირებულნი იყონ მსოფლიო ბაზარზე და მის პერსპექტულ განვითარებაზე. ეს ის დარგებია, რომლებშიც დიდია გონებრივი შრომის წილი (ე.წ. მეცნიერებატევადი და ინტელექტტევადი დარგები). მათში წარმატების ფაქტორები შეიძლება იყოს

— ა) მაღალი ზოგადეროვნული ინტელექტუალური პოტენციალი და, აქედან გამომდინარე, შედარებით იაფი მაღალკვალიფიციური შრომა და

— ბ) ამ ფაქტორით განპირობებული, აგრეთვე მიზანმიმართული ინვესტიცია.

ამგვარი დარგების განვითარება ვერ იქნება დამყარებული პრინციპზე „მოვახდინოთ (ან: მოვიზიდოთ) ინვესტიცია და მოვახდინოთ წარმოების მოდერნიზაცია დღევანდელი ტექნოლოგიის დანერგვის სახით“. ასეთი პრინციპი გამოიწვევს მხოლოდ დავალიანებას, მაგრამ არ მოხსნის ჩამორჩენას ტექნოლოგიური განვითარების ერთი საფეხურით მაინც (მიზეზი გასაგებია). იგი შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ პრინციპზე „ვეცადოთ, ვიყოთ მუდმივი პიონერი ტექნოლოგიის დარგში“ ანუ „მუდამ ვეცადოთ არა უკანასკნელი სიტყვის ტექნოლოგიის ათვისებას, არამედ მასზე უკეთესის შექმნას და სხვებზე ადრე დანერგვას ჩვენს წარმოებაში“, რაც დონეზე ყოფნის ერთადერთი საშუალებაა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ სახეზეა ფუნდამენტური ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდების არმია, რომელიც იმთავითვე ფლობს იმ ინფორმაციულ კონტექსტს, რომელიც ახალი ტექნოლოგიური იდეის სწრაფ რეალიზაციას სჭირდება. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის აუცილებელი პირობაა ფართო ფუნდამენტალური განათლების სისტემის შექმნა (იხ. ქვემოთ „განათლების“ პროგრამა).

საქართველოს მრეწველობის საექსპორტოდ ორიენტირებულ დარგებს შორის სხვა დარგებთან ერთად იგულისხმება საექსპორტო ჰიდროენერგეტიკა, სატრანზიტო ტრანსპორტი, მილსადენები და ა.შ. ეს მაღალგანვითარებული (და, მაშასადამე, იაფი) შიდა და სატრანზიტო ტრანსპორტი და ჰიდროენერგეტიკა მნიშვნელოვანი ბაზა იქნება ქართული სამრეწველო საქონლის კონკურენტუნარიანობისთვის შიდა და გარე ბაზარზეც.

სატრანზიტო ტრანსპორტი და სხვა კომუნიკაციები საქართველოსთვის დიდი, მაგრამ დამატებითი სავალუტო შემოსავლის წყარო უნდა იყოს, ისევე, როგორც განსაკუთრებული ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ძირითადი უნდა იყოს მეცნიერებატევადი და გონებატევადი სამრეწველო ნაწარმის ექსპორტი.

არ არის გამორიცხული, რომ საქართველო, თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, იყოს „ამწყობი საამქრო“ დასავლური მანქანათმშენებლობისათვის, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი, და პერსპექტივაში ჰქონდეს თავისი ამ როლის გაფართოება თვით წარმოებაში მონაწილეობის მიმართულებით.

6. მსოფლიო ბაზარზე გასატანი მომსახურებების სფეროში საქართველოსთვის ხელსაყრელია და სოციალურად მიზანშეწონილია (დამამცირებელ და დაბალკვალიფიციურ მომსახურებათაგან განსხვავებით) სამედიცინო დანიშნულების საკურორტო ინდუსტრიის და დარგობრივი ტურიზმის განვითარება, რისთვისაც საქართველოში სავსებით რეალური და ადვილად გამოსაყენებელი შესაძლებლობები არსებობს.

პერსპექტივაში (მაგრამ არა ახლო მომავალში) შესაძლებელია საქართველოში საერთაშორისო საბანკო მომსახურების ცენტრის ჩამოყალიბებაც, რომელიც მოემსახურება კავკასია-თურქეთი-ირანი-შუა აზიის რეგიონს და მის კავშირებს დასავლეთთან. ამ ფუნქციის აღების საფუძველი საქართველოსთვის ისაა, რომ იგი ტიპოლოგიურად, დასავლური ქვეყანაა, დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრირებისაკენ მოსწრაფე, და ამავე დროს აღმოსავლეთში მდებარე ქვეყანაა, აღმოსავლეთთან ტრადიციული კავშირების მქონე.

7. საქართველოს მოსახლეობის საშუალო კლასი, რომელიც ყოველი ჯანსაღი ეკონომიკური სისტემის და ყოველი ჯანსაღი საზოგადოების საფუძველია, შემდგარი იქნება (შემდგარი უნდა იყოს) როგორც მეწარმეთაგან, ისე (სხვადასხვა კვალიფიკაციის) პროფესიონალთაგან, მიწათმოქმედთა ჩათვლით, რომელნიც თავისი პროფესიული შრომის გაქირავებით ცხოვრობენ, აგრეთვე იმათგან, ვინც სახელმწიფოსთან მოიჯარადრის ურთიერთობაში არიან. მათი ინტერესების იგივეობა სახელმწიფოს ინტერესებთან განპირობებულია, ერთის მხრივ, იმით, რომ სახელმწიფოს ორგანიზებულობა და დაცულობა მათთვის ცხოვრების დაცულ პირობებს ქმნის, მეორეს მხრივ იმით, რომ მათი კეთილდღეობა დამყარებულია სახელმწიფოს ზოგად ეკონომიკურ დონეზე. გარდა ამ ეკონომიკური ფაქტორებისა, მათ მიერ საკუთარი თავის იდენტიფიკაცია სახელმწიფოსთან განპირობებულია მტკიცე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძირითად ფაქტორს ქვეყნის სამსახურისათვის იმათ მხრიდან, ვინც საზღვარგარეთ შრომობს.

8. სახელმწიფოს როლი საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესების მართვაში აქტიურია (უნდა იყოს), მაგრამ არა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

საქართველოს ეკონომიკური რესტავრაცია

მე-7 გვერდიდან

შემზღუდველი. თეზისი, რომ საზოგადოება მით უფრო დემოკრატიულია, რაც ნაკლებია სახელმწიფოს კონტროლი ამ პროცესებზე, უარსაყოფია ერთხელ და სამუდამოდ. დღევანდელ მსოფლიოში აქტიურ როლს ეკონომიკის რეგულირებაში განვითარებული დემოკრატიების ხელისუფლებანი თამაშობენ, რის შედეგადაც სიღატაკისა და სიმდიდრის კონტრასტი მცირდება (მოხმარების სფეროში) და ეკონომიკა იზრდება, ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში ხელისუფლება პასიურია, ეკონომიკა წინ ვერ მიდის (ან უკან მიდის) და სიმდიდრე-სიღარიბის კონტრასტი იზრდება (იხ. დიდძალი ლიტერატურა ამ თემაზე). სახელმწიფო აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს პრიორიტეტულ დარგებს და სასურველ პროცესებს საგადასახადო პოლიტიკით და სხვა კანონიერი, დემოკრატიისათვის მისაღები ბერკეტებით. პრინციპია „მაქსიმალურად აქტიური კონტროლი დემოკრატიული მექანიზმების ფარგლებში", და არა „მინიმალური კონტროლი". საქართველო არ ცდილობს, გაემიჯნოს ე.წ. გლობალიზაციის პროცესებს (რაც შეუძლებელიცაა), მაგრამ აქტიურად და დაგეგმილად მოქმედებს იმ მიმართულებით, რომ ამ პროცესში აღმოჩნდეს „მოგებულ სახელმწიფოთა" (WINNER STATES) და არა „წაგებულ სახელმწიფოთა" (LOOSER STATES) კლასში.

ეკონომიკური საშიშროებები და შესაძლო ეკონომიკური შეცდომები

ძირითადი ეკონომიკური საშიშროება, რომელიც საქართველოს დღეს ემუქრება, არის მიმდინარე პოლიტიკით განპირობებული მიზანმიმართული ნგრევისა და დატაცების პროცესი. მისი შეწყვეტა, ცხადია, აუცილებელია. მაგრამ მისი შეწყვეტის შემდეგაც რჩება მრავალი შეცდომის შესაძლებლობა, რომლებიც საქართველოს შეიძლება დამოუკიდებლობის დაკარგვად, ეკონომიკური რღვევა-სტაგნაციით გამუდმივებად და თვით ქვეყნის ისტორიის დამთავრებადაც კი დაუჯდეს. ამ შესაძლო შეცდომათა მნიშვნელოვანი ნაწილი მდგომარეობს სხვა ქვეყნების მაგალითზე აპრობირებული მეთოდებისა და პრინციპების მექანიკურ გადმოტანაში საქართველოს სინამდვილეზე ამ უკანასკნელის გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, დემოკრატიული და ფსიქოლოგიური სიტუაციის გაუთვალისწინებლად. ზოგადად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს თავისუფალი კონკურენციის მექანიზმთა განვითარებაზე — ეროვნული ეკონომიკის თვისებრივი და რაოდენობრივი წინსვლის მიზნით. მისი რეფორმირების უფლებრივი ფორმებია წარმოების სახელმწიფო მართვა, მართვის გაიჯარება, ობიექტის გაიჯარება, ობიექტის გაკერძოება (პრივატიზაცია), მიზნები — ეფექტიანობა, სახელმწიფოსა და მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესთა დაცვა (რის გამოც საჭიროა, მაგალითად, პროდუქტების იმპორტის მკაცრი ეკოლოგიური კონტროლი), სტრატეგიული რესურსების შენახვისა და განვითარების აუცილებლობა. საქართველო მადლიერებით უნდა იღებდეს უცხოელთა დახმარებასა და კეთილ რჩევას და ამავე დროს განუხრელად ატარებდეს საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული ღერძის მშენებლობის ხაზს.

ამ სახის შეცდომები მრავალია. მათი მაგალითებია:

1. საქართველოსთვის მიუღებელია მასში დასასაქმებლად უცხო ქვეყნის მუშახელის თავისუფლად შემოსვლა, რაც მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდება მასში მოქმედი ყველა წესის დაცვით. ევროპის ზეგანვითარებულ ქვეყნებში თუ უცხო მუშახელი შედის ისეთ სამუშაოთა შესასრულებლად, რომელზეც ადგილობრივნი უარს ამბობენ, საქართველოში უცხო მუშახელი შევა ყველა სამუშაოს შესასრულებლად (მაგ., თურქეთიდან) და უმოკლეს დროში წალეკავს საქართველოს ეკონომიკურადაც და დემოგრაფიულადაც.

2. საქართველოში დაუშვებელია მიწის (პირველ ყოვლისა — სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე.

დღეს მიწის თავისუფალ ბაზარზე არ არსებობს, ან ძალიან სუსტი კონკურენტუნარიანობით არსებობს, ქართველი და საქართველოს მოქალაქე. საქართველოში მიწის ყიდვის მსურველნი არიან (სხვა პოტენციურ სუბიექტთა შორის)

— რუსეთის სახელმწიფო, დღესდღეობით საქართველოსადმი აგრესიულ პოზიციაში მდგარი

— ისლამური ფუნდამენტალისტური ფონდები, რომელთაც აგრეთვე აგრესიული მიმართულება აქვთ

— სომხური ფონდები, ანალოგიური მიმართულებისა

— პოლიტიკურად ნეიტრალური სხვა უცხოელნი

მიწის გაყიდვას უცხოელზე მოყვება მისი დამუშავება უცხოელთა მიერ და, შედეგად, საქართველოს მოსახლეობის (განსაკუთრებით, — ეროვნებით ქართველების) ცენტრალური და სამარადისო დაუსაქმებლობა, ანუ რადიკალური (ძირფესვიანი) ეროვნული კატასტროფა.

3. ანალოგიურად, საქართველოსთვის მიუღებელია სასიცოცხლოდ საჭირო ობიექტების გასხვისება (ასეთი გასხვისების ერთი შედეგის მაგალითი უკვე ცნობილია „თელასის" გაყიდვის შემთხვევაში) და ეკონომიკური საკომანდო სიმაღლეთა უცხოელებისთვის დათმობა.

4. საქართველოსთვის მიუღებელია ზოგად მოტივაციაზე დამყარებული უცხოელთა რჩევების შესრულება, რომლებიც ეხება საქართველოს შინაგანი კონტროლის შესუსტებას ისეთ დესტრუქციულ ქმედებებზე, როგორიცაა ხე-ტყის განუკითხავი ჭრა საექსპორტოდ, ჯარათად ფერადი მეტალების მიტაცება და გაყიდვა და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკის დღევანდელი კრიზისის დაძლევის დაუყოვნებლივი (ერთხელოვარი) ნაბიჯები

— ენერგეტიკული ბაზის (კერძოდ, ელექტროენერგეტიკული სისტემის) დაუყოვნებლივ დაბრუნება სახელმწიფოს ხელში (რაც იურიდიულად დაეფუძნება იმ ფაქტს, რომ ობიექტთა გასხვისება, როგორც წესი, მომხდარია უკანონოდ, უმეტეს შემთხვევაში — ქრთამის გადახდის გზით). ამ გზით ელექტროენერგიის იაფი ბაზრის შექმნა.

— სახელმწიფო კომპანიის (კომპანიების), როგორც ეკონომიკური სუბიექტების, მონაწილეობა ენერგომატარებელთა იმპორტში და ამით ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნა.

— საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია წარმოების ყველა სახისათვის, განსაკუთრებით — მრეწველობისათვის.

— ფიქსირებული გადასახადების ფართოდ გამოყენება (დროებით).

— ზომიერი პროტექციონიზმის გამოყენება შინაურ ბაზარზე სამამულო წარმოების დაცვისათვის (დროებით).

საქართველოში ყოვლისმომცველი კორუფციის დათრგუნვა

ამოცანა მოითხოვს რეალისტურ მიდგომას, სახელდობრ, იმის გათვალისწინებას, რომ

ა) საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც კორუფციის **ობიექტი**, წინააღმდეგია კორუფციისა და იგი სძულს (მაგ., ჩვენ არ მოგვწონს, როცა მოსამართლე ანგარების მოტივით უსამართლოდ დაგვჩაგრავს სამოქალაქო დავაში).

ბ) იგივე მოსახლეობა, როგორც კორუფციის პოტენციური **სუბიექტი**, მომხრეა (ფაქტობრივად) ამ მახინჯი მოვლენისა (მაგ., რიგით კაცს ურჩევნია ავტოინსპექტორს ხუთი ლარი მისცეს ქრთამად, ვიდრე მართვის მოწმობა ჩააბაროს ან ტალონი გაახვრეტინოს).

გ) აღნიშნულ ფსიქოლოგიურ ფონზე სახელმწიფოში მწვავე **რაოდენობრივი** დეფიციტია ისეთი ადამიანებისა, რომლებიც გამოდგებიან „მაცდურ" ადგილებზე დასაყენებლად.

კორუფციასთან საბრძოლველად განკუთვნილი „არმიისათვის" საკმარისი რეკრუტები საქართველოში არ არსებობს.

შენიშვნა. დემოკრატიულ ქვეყნებში კორუფციას ებრძვიან

— სამართალდამცავი ორგანოების საშუალებით (საქართველოში ეს ორგანოები თვით არიან კორუფციის ბუდე).

— საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით

— საინფორმაციო საშუალებათა ზეწოლით, რაც იმავე საზოგადოებრივ აზრს ეყრდნობა (საქართველოში, როგორც ვთქვით, საზოგადოებრივი აზრი კორუფციას ეგუება).

თქმულიდან გამომდინარე, კორუფციის დასათრგუნავად აუცილებელია ორი მეთოდის შეთავსება.

ა) პატიოსანი, ადამიანების მაქსიმალური შესაძლო რაოდენობით ჩაბმა ამ საქმეში (ასეთი ადამიანები საქართველოს დემოკრატიულ ძალებში **არიან**, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით, შევარდნაძის „კომკავშირულ-რაიკომული" წარმოშობის კადრში **არ არიან**.

ბ) ისეთი იურიდიული „ავტომატიზმის" შექმნა, რომ პოტენციური დამნაშავე იძულებული იყოს კანონის საზღვრებში ჩაეტიოს არა მხოლოდ „სუფთა" ადამიანების შიშით, არამედ „უსუფთაოთა" შიშითაც. სახელდობრ: მაკროეკონომიური დანაშაულის გამო მოკვლევის, გამოძიების, საქმის აღძვრისა და ბრალის წაყენების უფლებამოსილება უნდა მიეცეს სათანადო სამართალდამცავ სტრუქტურებსა და პიროვნებებს არა მხოლოდ ტერიტორიული და უწყებრივად პრინციპის მიხედვით, როგორც დღესაა, არამედ ასეთი კუთვნილობისაგან დამოუკიდებლადაც. ანალოგიური უფლება უნდა მიეცეთ კერძო იურიდიულ ფირმებსაც და მოქალაქეებსაც (თუ გავითვალისწინებთ, რომ მაკროეკონომიკური დანაშაულის აღკვეთა ყოველი მოქალაქისათვის საკუთარი თავის დაცვაა).

მექანიზმს შეგვიძლია ვუწოდოთ **საზოგადოებისათვის კორუფციისაგან თავის დაცვის საშუალების მიცემა.** მის ამოქმედებას პრაქტიკულად შესაძლებელს გახდის ის გარემოება, რომ კანონი ავალდებულებს ორგანიზაციებს ოფიციალურად გასცენ მომთხოვნზე ის ამოსავალი ინფორმაცია, რომელიც მათი კორუმპირებულობისა თუ არაკორუმპირებულობის შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა.

რა ემუქრება განათლებას საქართველოში

მე-2 გვერდიდან

რომელიც იძლევა ფუნდამენტურ ცოდნას და პიროვნების მორალური და საზოგადოებრივი მოვალეობის ნათელ ცნობიერებას. ეს მინიმალური მოთხოვნა ვერ შემცირდება, რადგან არც ტექნოლოგიური ევოლუციის პროცესში წარმატებით ჩართვა, არც სოციალურისაში არც ინდივიდს, არც სახელმწიფოს არ ძალუძს, თუ მან მხოლოდ განვითარების მიყოლის, მიღწევების გზა (ანუ არსებული ტექნოლოგიების ათვისების გზა აირჩია, და არა ახალ ტექნოლოგიათა ქმნადობაში თანამონაწილეობის გზა, რაც შეუძლებელია ფუნდამენტური ცოდნის გარეშე (იხ. ზემოთ, პარაგრაფში „ეკონომიკა"). სახელმწიფო სისტემის პარალელურად დასაშვებია და მისასალმებელია (სტიმულირებას იმსახურებს) კერძო სასწავლებელთა სისტემის განვითარებაც, მაგრამ მისაღები ცოდნის მინიმუმის მკაცრი სახელმწიფოსმიერი სერტიფიკაციის პირობით.

2. სახელმძღვანელოთა მთელი კომპლექტის შექმნა და პუბლიკაცია (ყველა დონის დამხმარე სახელმძღვანელოების ჩათვლით, მათ შორის — აკადემიური კურსებისა) უნდა ხდებოდეს — აუცილებელი მინიმუმის ფარგლებში მაინც — სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფოს პასუხისმგებლობით, თვითღირებულებასთან მიახლოებულ ფასებად).

3. სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს (მინიმალურად მაინც) ფუნდამენტურ მეცნიერებას, რომლის არარსებობის პირობებშიც ფუნდამენტური განათლება შეუძლებელია. მისი დაფინანსების მინიმალური მოთხოვნებია

ა) ლიტერატურის მისაწვდომობის მიღწევა

ბ) მეცნიერული ინტენსიური კონტაქტების მისაწვდომობის მიღწევა (კონგრესებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობა, მივლინებები და ა.შ.)

გ) (ბუნებისმეცნიერებებში) ძირითადი ექსპერიმენტების ლაბორატორიების შესაძლებლობის მიღწევა (რაც მუდმივი „სასტარტო ბაზაა" მეცნიერული „გარღვევებისათვის" სათანადო ნიჭიერი პიროვნების ან კოლექტივის გამოჩენის შემთხვევაში).

4. სახელმწიფოს ზოგად პრიორიტეტულ ამოცანად უნდა ჰქონდეს აღიარებული განათლების არა მხოლოდ აქცენტრირებული განვითარება, არამედ მწვერვალების მიღწევაც. საზოგადოების ძირითად ინტერესთა კლასიკურ ტრიადას — თავისუფლება (რასაც შეიარაღებული ძალები იცავს), პური (ანუ ეკონომიკური კეთილდღეობა) და სამართალი (რასაც პოლიცია და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურები უძღვებიან) — საქართველოს შემთხვევაში უნდა ემატებოდეს განათლებაც. იმ თითებზე ჩამოსათვლელ სტრუქტურათა შორის, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიას მსჭვალავენ და მის ღერძს შეადგენენ (სათავდაცვო, საპოლიციო, ჯანდაცვისა და სხვ.) უნდა იყოს განათლების სისტემაც, რომელიც მოიცავს ყველა ბავშვისათვის მისაწვდომ სრულფასოვან სკოლას და, საჭიროების შემთხვევაში, ადგილს ინტერნატში. ამ სპეციფიკურ საჭიროებას საქართველოს პირობებში თავისი ობიექტური საფუძველი აქვს: საქართველო დღეს ის ლეგიტიმურად საკუთარი და ისტორიულად ნაანდერძევი ტერიტორია, რომელზედაც ქართველი ერი თავისი სახელმწიფოებრივი თვითრეალიზაციის განხორციელებას (თავის სამარადისო დამკვიდრებას) ესწრაფის ისეთ პირობებში, როცა მისი რეალური ძალა მსოფლიოში არსებულ სხვა ძალებთან შედარებით უფრო მცირეა, ვიდრე საქართველოს ტერიტორიის ღირებულებაა კაცობრიობის ხელთ არსებულ საცხოვრებლად ვარგის მთელ ტერიტორიასთან შედარებით. ამ ტერიტორიაზე თავისი უფლების დაცვა ქართველ ერს შეუძლია მხოლოდ თავის შესაძლებლობათა სრულყოფილი გამოყენებით ორივე მიმართულებით — სამართლებრივითაც და ფაქტობრივი ძალისეულითაც. ამ რთული და ხანგრძლივი ბრძოლის მოგების აუცილებელი პირობაა ქართველი მონაწილეების (ასეთი კი მთელი ქართველი ერია) ხარისხი, რის ერთ-ერთ არსებით კომპონენტსაც მისი განათლების დონე შეადგენს.

მთავარი რედაქტორი
სარედაქციო
კოლეგია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების
მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის
რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე
პასუხს ავტორი აგებს.